წელიწადი პირველი. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 18 მაისი, 1921 წ.

№ 62 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 62

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცეკას სააგიტაციო—საპროპაგანდო განყოფილებისაგან

საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო—საპროპაგანდო განყ. აცხადებს, რომ ამა წლის 17 მაისიდან რაიონებში გაიმართება კომპარტიის წევრების კრება, რომელზედაც იქნება გაკეთებული მოხსენება—„ამხ. ლენინის წერილი და კომპარტიის მიზნები საქართველოში".

**I რაიონში**—ნაძალადევის თეატრი—ხუთშაბათს 19 მაისს, საღამოს 6 საათ. მოხსენებას გააკეთებენ ამხ. 1) მახარაძე, 2) დუმბაძე, 3) კურულაშვილი და 4) კალანდაძე.

II—რუშათა ცენტრალური კლუბი, ოთხშაბათს 18 მაისს, საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი: 1) ელიავა, 2) კალაძე და 4) ქავთარაძე.

III—მე-III ბიუროს შენობა, კახეთის მოედანი № 1. სამშაბათს 17 საღამოს 6 საათზე. მოხსენებას გააკეთებენ: 1) ნაზარეთიანი, 2) ტოროშელიძე, 3) ატაბეკოვი.

IV რაიონი—ადგილი ნაჩვენები იქნება ცალკე. კვირას 22 მაისს დილის 11 საათზე. მომხსენებლები: 1) თუმანიშვილი, 2) დონენკო, 3) ერქომაიშვილი, 4) კალანდაძე.

ყველა ამხანაგები ვალდებული არიან დაესწრონ კრებას. შესვლა შეუძლიანთ მხოლოთ პარტიულ წევრებს.

ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

## ყველა საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებს აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტანის, მთიელთა რესპუბლიკის, თათარიის, თურქესტანის, ბაშკირეთის, ყირგიზეთის და ყირიმის ცენტრალურ კომიტეტებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

20 ივნისისათვის რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის მომწყობი განყოფილება იწვევს მოსკოვში აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა სრულიად რუსეთის ყრილობას, რომელზედაც თქვენი დელეგატ ქალების გამოცხადებას მოელის აღნიშნული განყოფილება.

გაცნობებთ რა ამას, ცენტრალურ კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ყრილობა, ერთის მხრით, ამხ. ლენინის თქმისა არ იყოს, უეჭველად ითამაშებს დიდ როლს ცნობიერების გაღვიძების საქმეში და აღმოსავლეთის ქალთა ორგანიზაციურად შეკავშირებაში, მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ ის შესდგება კომინტერნის მე-3 კონგრესთან ერთდროულად, იგი მთელი მსოფლიო პროლეტარიატს ნათლად უჩვენებს რუსეთის რევოლიუციის ნამდვილ ხასიათს და სიდიადეს, რომელმაც გაალვიძა საუკუნოებრივი ძილისაგან ძლიერ დაჩაგრული და შეუგნებელი ნაწილი მცხოვრებლებისა.

ხაზს უსვამთ რა აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა ყრილობის მნიშვნელობას და როლს, ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ოლქების პარტიულ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზე იმყოფებიან აღმოსავლეთის ხალხები მთელი ძალები აამუშავონ ამ ყრილობის სათანადოთ მოსამზადებლად, რის საშუალებებად უნდა იყოს: სპეციალური საგაზეთო კომპანია, ფართე სიტყვიერი აგიტაცია, შესაფერი ბროშურების გავრცელება, ყოველმხრივი დახმარება ქალთა განყოფილებებს მშრომელ ქალთა და პროფესიონალურ და პარტიულ ჩაბმისათვის, პარტიულ ძალების, საჭირო მასალების, ფულების, ტრანსპორტის გაგზავნით იმათ განკარგულებაში, ღარიბ დელეგატ-ქალთათვის ტანისამოსის დარიგებით, და, ბოლოს, მომზადება და მოწვევა აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა ადგილობრივ (საოლქო, საგუბერნიო ან საერთო რესპუბლიკის) უპარტიოთა ყრილობის, რომლის მონაწილეთ უნდა ეცნობოს აღმოსავლეთის ქალთა სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა, მისი დღიური წესრიგი და რომელზედაც უნდა მოხდეს ამ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატ ქალების არჩევა იმ ნორმის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია ყრილობის საორგანიზაციო ბიუროს მიერ.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენ. კომიტეტი წინადადებას იძლევა: საგუბერნიო, საოლქო და რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების პრეზიდიუმიდან გამოჰყავით ერთი ამხანაგი, რომელსაც დაეკისრება ადგილობრივ ყრილობების მომზადების და გატარების პასუხისმგებლობა; ამასთან ერთად რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილებას დეპეშით უნდა ეცნობოს ამ პასუხისმგებელ პირის ვინაობა. ყრილობის ჩატარების ანგარიში, მასალები, ფოტოგრაფიული სურათები და გამოცემები უნდა გაიგზავნოს ცენტრალურ ორგანოში.

ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ პარტიული კომიტეტები მიიღებენ ყოველივე ზომებს სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევის მოსამზადებლად, ცენტრალური კომიტეტი იმედს გამოთქვამს, რომ ის 20 ივნისს დელეგატ ქალთა სახით მიეგებება აღმოსავლეთის დამონავებულ ქალთა განთავისუფლებისათვის შეგნებულ და შეკავშირებულ მებრძოლთ.

დანართი 1. დღიური წესრიგი აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის, რომელიც უნდა მოწვეულ იქნას 20 ივნისს, მოსკოვში: 1) თანამედროვე მომენტი, 2) აღმოსავლეთის ქალთა უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა წინედ და ეხლა, 3) შინა მრეწველობა და აღმოსავლეთის ქალები, 4) დედობრივობის და ბავშვობის დაცვა, 5) სახალხო განათლება და აღმოსავლეთის ქალი.

დანართი 2. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე წარმომადგენლების გასაგზავნი ნორმა, რომელიც უნდა შესდგეს 20 ივნისს, მოსკოვში: აზერბეიჯანი—50 კაცი, სომხეთი—20 კაცი, საქართველო 20 კაცი, მთიელთა რესპუბლიკა—30 კაცი, დაღესტნის რესპუბლიკა—10 კაცი, თურქესტანი—100 კაცი, თათართა რესპუბლიკა—50 კაცი, ბაშკირეთი—50 კაცი, ყირგიზეთი—50 კაცი, ყირიმი—20 კაცი. არხანგელსკის, ვიატკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, პენზის, ტამბოვის, ჩელიაბინსკის, ტომსკის, სიმბირსკის, ეკატერინბურგის, ტიუმენის, ირკუტსკის, ვერხნე-უდინის და ხარკოვის საგუბერნიო კომიტეტები სამ-სამ კაცს. ასტრახანის, სამარის, ომსკის, სარატოვის, უფის—ათ ათ კაცს. პეტროგრადის, ნოვონიკოლაევსკის, ნოვოროსიისკის საგუბერნიო კომიტეტები—ორ-ორ კაცს, ცარიცინის საგუბერნიო კომიტეტი ერთ კაცს. ურალის საგუბერნიო კომიტეტი—5 კაცს. კუბან შერნომორიის და დონის საოლქო კომიტეტები—სამ სამ კაცს. ხივის და ბუხარის რესპუბლიკებიდან ათ ათი კაცი.

ცეკას მდივანი მოლოტოვი.

ცენტრ. კომ. ქალთა განყოფილების გამგე ლ. მენჟინსკაია.

## სურსათის მომარაგება

სურსათის საკითხი დღეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სდგას მშრომელი ხალხის წინაშე. მისი მომარაგება და ამნაირად მშრომელთა დროზე გამოკვება-დაკმაყოფილება სახელმწიფოსათვის უმთავრეს საგნად გადაიქცა და შთანთქა მთელი ყურადღება. ჩვენ ყველაფერი აოხრებული ჩავიბარეთ და დანგრევის ნაშთებზე დავიწყეთ მუშაობა. საკვირველი არაა ამიტომ ის გარემოება, რომ დღეს საბჭოთა საქართველო სურსათ-სანოვაგის მხრივ დიდ გასაჭირს განიცდის. მსოფლიო ომმა დაანგრია ხალხის სიმდიდრე და საბედისწერო წერტილამდის მიიყვანა მეურნეობა და მრეწველობა.

თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა საქართველოსაც არ აცდა და თავისი საშინელი ხელები ჩვენი ცხოვრების სიღრმეს დაადო. ამას მოუმატეთ უკანასკნელი ომები, დამსჯელი რაზმები, ხიდების აფეთქებები და ყველასათვის ცხადი გახდება ის გაჭირვება, რომელშიაც ამ ჟამად ჩვენ ვიმყოფებით.

ჩვენი მტრების საძაგელმა პროპაგანდამ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობ დააშინა უცხო ვაჭართა კავშირი და ცოტა ხნით მაინც ზიანი მიაყენა საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყოველივე შეგნებული მიწის მუშა ვალდებულია ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს და მისთვის მიცემული მიწების დახვნა-დათესვით შეამსუბუქოს მდგომარეობა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა შევეცადოთ უცხოელებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლით შემოვზიდოთ რესპუბლიკაში რაც შეიძლება მეტი რიცხვი აუცილებელ და საჭირო საქონლისა.

ამ მხრივ ჩვენი მთავარი საშუალება დღეს ნავთი უნდა იყოს და ამ მხრით მოძმე რესპუბლიკამ დახმარება უნდა გაგვიწიოს.

ამ საკითხების მოსაგვარებლად, რკინის გზის გაერთიანებისა, გარდა, ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სავაჭროების გაერთიანებაც. მხოლოდ ამ გზით შეიძლება რესპუბლიკის სურსათ-სანოვაგის მხრით უზრუნველყოფა და დროზე შველა. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება და ენერგია.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. ხმიგლის თანამოხსენება პარტიული აღმშენებლობის შესახებ.**

**ხმიგლი** (დასასრული) ამხანაგებო, თუ თქვენ მართლა გსურთ, რომ ჩვენი პარტიული უჯრედები არ იყვნენ მუშათა მასსებს მოწყვეტილნი,—ხოლო ეს სნეულება შემჩნეულია,—მაშინ ნუ უქმნით რაიმე უპირატესობათ კომუნისტებს სხვა მუშებთან შედარებით, ნუ აყენებთ მათ მეთვალყურეებათ საქარხნო კომიტეტებზე, კომისრებზე, იმათზე, ვისაც ჩვენი პარტია ანდობს ქარხნების მართვას, რადგან თუ ჩვენ ამ გზას დავადგებით, ექვს გარეშეა, აქაც დავამყარებთ ახალ მახინჯ ფორმას პარტიული ორგანიზაციის მონაწილეობისას საბჭოთა დაწესებულებების მართველობაში. თუ ეს იქნება მიღებული ჩვენი ყრილობის მიერ, ყოველგვარი სიტყვა კომუნისტებსა და დანარჩენ მუშურ მასსას შორის კავშირის გამტკიცებაზე და უზრუნველყოფაზე დარჩება ცარიელ სიტყვად, რადგან მხოლოდ თანასწორობის და თანასწორი მდგომარეობის საფუძველზე შესაძლებელია ეხლა განკურნება იმ სენისაგან, რომელიც აქ საგრძნობია ყველა დამსწრესათვის. აქ დემოკრატიის სახით ჩვენ გვაპარებდნენ ისეთ რამეს, რომელსაც მოჰყვება მეტად მძიმე შედეგები. და ეს მუხლი უნდა იქნას ამოშლილი.

(**ხმა ადგილიდან**: მაშ მათ რა უნდა აკეთონ?) აქ ამხანაგი კითხულობს, მათ რა უნდა აკეთონ. იმათ უნდა გააკეთონ პარტიული სამუშაო, აღზარდონ თავისი წევრები, ყოველ-გვარი დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივი კომიტეტებს და აასრულონ ყველა ის სამი მუხლი, რომლებსაც, ამხანაგებო, ბუხარინი აღნიშნავს ამ მეოთხე მუხლამდე.

ეს სრულებით ნათელია და სწორი. თუ ჩვენ ავიღებთ ისეთ კურსს, რომ უჯრედები დაიწყებენ ქარხნების მმართველს. იმათ მაგიერ, ვისაც მინდობილი აქვს ეს მმართველობა,—ეს იქნებოდა უდიდესი პოლიტიკური შეცდომა.

ამხ. ბუხარინმა ააშენა თავისი სიტყვა სამხედრო და მშვიდობიანი პერიოდის დაპირდაპირებაზე, და ცხადია სასტიკად იქნებოდა ამისათვის დასჯილი, ვინაიდან იმის ახსნა, რაც მოხდა და ხდება ჩვენი პარტიის შიგნით, მხოლოდ ერთი სამხედრო პირობებით, როგორც ეხლა, ვფიქრობ, დარწმუნდით,—მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

მოხდა ისეთი პროცესები, რომლებსაც სამხედრო ვითარება ვეღარ გააუქმებდა, ვერც შეცვლიდა. ერთად-ერთი, რაც სამხედრო გარემოებამ ქნა, ისაა, რომ ეს პროცესები ვითარდებოდნენ და განვითარდნენ უფრო მტკივნეულ, უფრო მძიმე ატმოსფერაში, ვინემ შეიძლებოდა განვითარებულიყვნენ სხვა პირობებში. და ეხლა, როდესაც ამხ. ბუხარინი ამბობს, რომ ეხლანდელს მომენტში ჩვენ გადავდივართ მშვიდობიანობაზე და ამ მშვიდობიანობის საფუძველზე ცდილობს დახატოს მომავალი პოლიტიკა,—იგი ეხლავე ცდება. იგი ჰგონებს (?), რომ სამხედრო დროს შეეფერებოდა დამკვრელობა, ხოლო ეხლა, როდესაც ის დასრულდა, ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ გათანასწორების კურსი. ამხანაგებო, ეს შეცდომაა, ამით ჩვენ საკითხს სწორად არ უდგებით და უეჭველია პრაქტიკულ ცხოვრებაში ისევ გამოიწვევს მთელ რიგ ყალბი განმარტებებს, მთელი წყება ისეთ განმარტებების, რომლებიც ვერ მიგვიყვანენ პარტიის ერთობისა და განმტკიცებისადმი. აუცილებლად კითხვა დამკვრელობასა და გათანასწორებაზე უნდა იქნას გადაჭრილი არა ომისა და ზავის სფეროში,—ომი და ზავი აქ არაფერ შუაშია,—აქ მნიშვნელოვანია მთელი ჩვენი საბჭოთა პრაქტიკა მთლიანად. იმ სილატაკეში, რომელსაც ახლა ჩვენში აქვს ადგილი, ჩვენ ვდგევართ იმ ამოცანის წინაშე, რომ ჩვენი მუშაობის რამოდენიმე დამკვრელმა დარგებმა მაინც განაგრძონ ამა თუ იმ ფორმით მოქმედება. ტრანსპორტის დარგში ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არასოდეს არ ყოფილა, საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში და აქ ჩვენ არ დავზოგავთ არავითარ საშუალებებს და მსხვერპლს, ვინაიდან ტრანსპორტის აღუდგენლად ჩვენ დავიხრჩობით, მიუხედავათ იმისა, გამოვიტანთ მეტად კარგ რეზოლიუციებს მუშური დემოკრატიის შესახებ, თუ ასეთი რეზოლიუციები არ იქნება.

ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ რეზოლიუციაში არის ძალიან ბევრი კარგი ადგილი. უდავოა, მისი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ იგი მიუდგა საკითხს სხვანაირად, ფორმალურად, იურიდიულად და არა ფაქტიურად. იქ ვხვდებით მაგალითად, ასეთ რამეებს, „რა არის მუშური დემოკრატია". პარტიის შიგნით—მუშური დემოკრატია! მე შემიძლია ისეთივე წარმატებით წავშალო სიტყვა „მუშური" და დავსწერო „გლეხური" და ეს იქნება სრულიად ერთი და იგივე. მაგრამ აქ არის ნათქვამი, რომ მუშური დემოკრატიის მთავარი შინაარსი უნდა იყოს პირველ რიგში დაცვა მუშური ხელისუფლებისა. ამიტომ მე მგონია, რომ ახალი სამაგიერო რეზოლიუციის შეტანა, რასაკვირველია, არ ღირს, შეიძლება მისი მიღება საფუძვლად, მას ხმას მივცემთ, მაგრამ წინადადება შემოგვაქვს შევიტანოთ შიგ რამოდენიმე შესწორება.

ეხლა მეორე. ამხანაგებო, მე მგონია, რომ ამხ. ბუხარინმა ლენინის სიტყვიდან არ გამოიყვანა ის დასკვნები, რომელიც მას უნდა გამოეტანა. ერთად ერთი დასკვნა, რომელიც მისაღებია ოპოზიციის მიმართ, ასეთია: მე-10 ყრილობამ პარტიული აღმშენებლობის საკითხის გამო უნდა მიიღოს მუხლი, რომელშიაც ნათქვამი იქნება: რომ ერთობისათვის ბრძოლაში პარტიის შიგნით, პარტიისათვის მეტად მძიმე მომენტში, პარტიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დაუშვას ფუფუნება იქონიოს, მე ვიტყოდი საეჭვო, კომუნისტური მხრით, ოპოზიცია. და ამიტომ ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს უნდა მისცეს უფლება ახალი ყრილობის მოუწვევლად, გამორიცხოს პარტიიდან ოპოზიცია, იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი დაინახავს, რომ ოპოზიცია განაგრძობს პარტიის შიგნით თავის დამღვევ, ანტიმარქსისტულ და ანტიკომუნისტურ მუშაობას.

აი ეს წინადადებანი შემოგვაქვს ჩვენ დამატების სახით ან ყრილობაზე ან კომისიაში, იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებას მიიღებს ამ საკითხის გადაჭრა.

## საბჭოთა რუსეთში

**გრუკავროსტას დეპეშები**

### სასურსათო გადასახადი.

**მოსკოვი**. 4 მაისი. რ. კ. პ. ც. კ. დაადგინა: 1) გლეხთა მასსებისათვის სასურსათო გადასახადის ყოველ მხრივი გაშუქება ეხლანდელ მომენტში ჩაითვალოს უმნიშვნელოვან საქმედ. 2) ყველა საგუბერნიო კომიტეტმა დაუყონებლივ წარმოადგინოს მოკლე სწორი ანგარიშები, თუ რა არის გაკეთებული მათ მიერ ამ მხრივ, გაუგზავნოს ც. კ. სრული მასალა, აღნიშნოს ადგილობრივ აღძრული ყველა საკითხი და სასურსათო გადასახადით გამოწვეული გაურკვეველი საკითხები. წარმოადგინოს მოკლე ანგარიში ყოველ-კვირეულად. 3) გვაცნობოს თავისი პრაქტიკული წინადადებები. 4) ყოვლად მიუღებელია სწრაფი კავშირის უქონლობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ც. კ. სასურსათო გადასახადთა შესახებ სასწრაფო შეკითხვაზე, რომელიც რადიოთი დაიგზავნა და გაზ. „პრავდა"-ში დაიბეჭდა, მხოლოდ რამდენიმე კომიტეტმა გასცა პასუხი. 5) საგუბერნიო კომიტეტების მდივნები პასუხს აგებენ აღნიშნულ განკარგულების აუსრულებლობისთვის.

### ბრძოლა რკ. გზის დაშლასთან.

**მოსკოვი**. 4 მაისი. სარატოვში მყოფმა რიაზან-ურალის რკ. გზის სახელოსნოების მუშებმა საერთო კრებაზე მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ახლად არჩეულ ტრანსპორტის ცენტრალურ კომიტეტს და მიმოსვლის სახალხო კომისარიატს. ამასთანავე გადაწყდა მოუწოდონ ყველა მუშებს, შეკავშირდნენ ტრანსპორტის მუშათა ერთ კავშირში წარმოების დაშლასთან საბრძოლველად. შემდეგ გაეგზავნა დეპეშა რ. კ. პ. ც. კ. რომელშიაც აღნიშნულია რომ პროფესიონალურ კავშირების იდეური ხელმძღვანელობა უნდა იყვეს კ. პ. ხელში. მუშების ლოზუნგია, ცხოვრების დაშლასთან ბრძოლა, ბრძოლა ქვეყნის ყველა საწარმოვო ძალის გაძლიერებისათვის და დაუნდობელი ბრძოლა ბანდიტიზმთან და საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მტრებთან, რომლებიც მშვიდობიან შრომაში ხელს გვიშლიან.

### ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო თათბირი.

**მოსკოვი**, 2 მაისი. მოსკოვში ტრანსპორტზე მომუშავეთა ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე, რევოლიუციონურ მუშათა—ევროპის და ამერიკის მეზღვაურთა წარმომადგენლების მონაწილეობით, თავმჯდომარე ამხ. მამაევმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ტრანსპორტის მუშები—რევოლიუციის უძლიერესი საშუალებაა. ეხლა ინგლისის ტრანსპორტზე მომუშავეთა ბელადების ღალატის შემდეგ, რომლებმაც გაჰყიდეს მაღაროში მომუშავე ამხანაგები, კაპიტალთან მათ გმირულ ბრძოლაში, დადგა ხელსაყრელი წუთი მსოფლიოს ტრანსპორტზე მომუშავეთა გაერთიანებისა წითელ კავშირის ქვეშ. წუთის მიზანი—ყვითელ ქინვის საწინააღმდეგოდ ტრანსპორტზე მომუშავეთა წითელ კავშირის შექმნა. უცხოეთის მხრივ პირველათ გამოვიდა გერმანელ მეზღვაურთა კავშირის მდივანი ოტტო როგერი, რომელიც დიდი ხანი არაა რაც გერმანიიდან ჩამოვიდა, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა უკანასკნელ კომუნისტურ რევოლიუციაში. ამხ. როგერმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად გერმანიაში ეცემა სამუშაო ხელფასი და რთულდება მუშათა მდგომარეობა. ამ შემთხვევაში დამნაშავეა ბგერთვე საზღვაო კავშირი, რომლის მეთაურნი შეუთანხმდნენ გემთა მეპატრონეთ. წარმოების ყველა იარაღი, ყველა გემები, ყველა ნავთსადგურები უნდა გადავიდნენ ტრანსპორტზე მომუშავეთა ხელში და მაშინ არავითარი ბანკებისათვის არაა საშიში, რადგან მუშები არ წაიღებენ ბანკებს იქ, საიდანაც მ უთითებს კაპიტალიზმი. ზაფხულში განზრახული ტრანსპორტზე მომუშავეთა კონგრესმა უნდა ხელში აიღოს მთელი მსოფლიოს საზღვაო ტრანსპორტი. კომუნისტ მეზღვაურთა საშუალებით ჩვენ შევძლებთ მთელ მსოფლიოში კომუნისტურ წყობილების დამყარებას. არგენტინის მეზღვაურთა კავშირის მდივანმა ამხ. ბარკერმა, რომელიც არის მთელ სამხრეთ-ამერიკის ტრანსპორტზე მომუშა-

# დღეს ნომერში:

**მოსკოვში გაიმართა ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო თათბირი, რომელმაც საჭიროდ სცნო ამ დარგში მომუშავეთა გაერთიანება წითელ დროშის ქვეშ, და დღის წესრიგში დააყენა მედგარი ბრძოლა კომუნიზმის დასამყარებლად.**

**სავაჭრო ფლოტის საქმე რუსეთში წარმატებით მიდის.**

**ბრიტანეთის მთავრობა ძველებურად განაგრძობს რეპრესიებს ირლანდიაში.**

**ცხრილი პროფ. კავშირებში დარაზმულ მუშათა ლაშქრის ზრდისა, 1910 წლიდან მოყოლებული.**

ვეთა წარმომადგენელი, განაცხადა: ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის მიზანი არის: კომუნისტური პროპაგანდა, გაფიცვა, ომის მოსპობა, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და რევკომების ორგანიზაცია ადგილობრივ. დასასრულ ამხ. მამაევი ხაზს უსვამს აგვისტოში პეტროგრადში განზრახულ ტრანსპორტზე მომუშავეთა კონგრესის მთელი ქვეყნის მუშებთან აუცილებელ დაკავშირებას.

### საზღვაო ფლოტის შეკეთება.

**მოსკოვი**, 5 მაისი. საერთო რიცხვი საზღვაო გემებისა ისახება შემდეგნაირათ: ორთქმავალი გემები—ბალტიის ზღვაში 78 გემი, ამას გარდა შეკეთებიდან უნდა გამოუშვებულ იქმნეს—46 გემი. კასპიის ზღვაში 258 ორთქლით მავალ გემებია, შეკეთებიდან გამოუშვებენ 211. შავ ზღვაში 222 ორთქლით მავალი გემია და გამოუშვებენ 83, კავკასიის სანაპიროზე 58 ორთქლით მავალი გემია, გამოუშვებენ შეკეთების შემდეგ 13. ყირიმში 60 ორთქლით მავალი გემია და აზოვის ზღვაში 62 არა ორთქლით მავალი გემი ბალტიის ზღვაში 5, კასპიის ზღვაში 171, ჩრდილოეთის ზღვაში 350, შავ ზღვაში 269, კავკასიის ნაპირზე 73, ყირიმში 36 და აზოვის ზღვაში 43. ამნაირად ყველა ზღვებში 1,056 ორთქლით მავალი გემია. განზრახულია შეკეთების შემდეგ 732 გემის გამოშვება. ვოლგაზე გამოუშვებენ 556. არა ორთქლით მავალი 946 გემია და განზრახულია შეკეთების შემდეგ 356 გემის გამოშვება.

### მუშა მუდმივ მხსნელია.

**როსტოვი**. 12 მაისი. (რადიო). კავკასიაში მოიპოვებოდა რამდენიმე ათი ათასი არშინი თეთრი მატერია. მაგრამ წითელი არმიის რუხი ტანისამოსით შესამოსავად შესაფერისი სალებავების უქონლობის გამო მთელი ამოდენა მასალა გამოუსადეგარი იყო. გამოსავალი იპოვა მუშა გორცევმა. მან ხანგრძლივი ცდისა და ქიმიურ სხვა და სხვა ნივთიერებათა შეზავებით გამოიგონა შესაფერისი მ ხაკის ფერის სალებავი. ამჟამათ როსტოვში უკვე აწყობენ ფართო საფაბრიკო მასშტაბით ამ სალებავის წარმოებას.

### ეკონომიური გაერთიანება.

**როსტოვი**, 8 მაისი. (დეპეშა). ცხოველ კავშირის დასამყარებლად სამხრეთ აღმოსავლეთის საოლქო ეკონომიურ საბჭოების და ავტონომიურ რესპუბლიკათა შორის და აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლების ყველა განკარგულების კოორდინაციისათვის, რომელიც ეხება ეკონომიურ საკითხებს, შრომის და ვის საბჭომ საქმეთა მმართველად დანიშნა სმილიანინოვი. წინადადება მიეცა ყველა უწყებას აღმოუჩინოს მას ყოველგვარი დახმარება (კავროსტა).

### შრომის კომისარიატი მთიელთა რესპუბლიკაში.

**კავკაზი**. 13 მაისი. (დეპეშა). მთიელთა რესპუბლიკის შრომის კომისარიატის რეორგანიზაციას შემდეგი მიზნები აქვს დასახული: შრომის მთავარ კომიტეტის და შრომის ლაშქრის აპარატის გადაცემა შრომის სახალხო კომისარიატის უწყებაში, შრომის დეზერტირობასთან საბრძოლველ ორგანოების შექმნა. განზრახული აქვთ ახალი აპარატები მოაწყონ ოსეთის, ინგუშეთის, ბალყარიის, ყარაჩის და საჩაჩნეთის აღმასრულებელ კომიტეტებთან. განზრახულია აგრეთვე სასოფლო თემებში შრომის განყოფილებათა გახსნა. აღნიშნულია პასუხისმგებელ მომუშავეთა ძლიერი ნაკლებობა.

სამეურნეო ორგანოების მოთხოვნილება მუშა ძალისა წლის მეოთხედში უდრიდა 900 კაცს, საამშენებლო სეზონისათვის საჭიროა 400 კაცი, ოკინის გზის და სატყეო კომიტეტებ სათვის 1,000 კაცი. საჭიროა 3,000 მიწის მუშა და 900 მელითონე. შემჩნეულია მელითონეთა დიდი ნაკლებობა, რისთვისაც საჭიროა დახმარება ცენტრიდან. განზრახულია შემოიღონ შეგნებულ მუშათა აღრიცხვა და მათი რაციონალურად განაწილება.

# საზღვარ გარეთ

**გრუკავროსტას დეპეშები.**

### ინგლისის პოლიტიკა ირლანდიაში.

**ლონდონი** 1 მაისი. ჟურნალი „რევიუ ოვ რევიუ" სწერს: დიდი ბრიტანეთის მთავრობა დაუდევრათ ეკიდება ირლანდიელთა შევიწროვებას და განაგრძობს ძალმომრეობის პოლიტიკას. მთავრობას ჰგონია, რომ იგი სიკვდილით დასჯით მოჰკლავს ირლანდიის ახალგაზრდობის სულს. ეს შეცდომაა: ესეთი პოლიტიკა მოიტანს სულ წინააღმდეგ შედეგებს, რადგან აიძულებს მთელ ახალგაზრდობას შევიდეს ირლანდიის რესპუბლიკის ლაშქარში იგ. როგორც მთავრობის მოქმედებამ 1916 წელს ირლანდია ჩააგდო სინფეინერების ხელში (კავროსტა).

### ქვა-ნახშირის მომუშავეთა გაფიცვის მდგომარეობა ინგლისში.

**ლონდონი**. 12 მაისი, (რადიო) ტრანსპორტის მუშათა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელმაც უცხოეთის ქვანახშირის ინგლისში შემოტანის ნება არ დართო, გადასწყვიტა განეხილა ეს კითხვა რკინის გზის მუშათა აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად. ბელგიის ტრანსპორტის მუშათა კავშირი აცხადებს, რომ კავშირმა გადასწყვიტა ქვა-ნახშირისთვის მოცული ბრიტანეთის გემების შეჩერება. ელექტრონ სა და გაზის წარმოების მუშებმა გადასწყვიტეს, რომ უცხოეთის ქვა ნახშირზე მუშაობა აღარ განაგრძონ. შოტლანდიის რკინისგზელები გაფიცულ მემაღაროეთადმი სათანაგრძნობო გაფიცვისათვის ემზადებიან.

### მუშათა მოძრაობა გერმანიაში

ბერლინი, გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი" სწერს: „გერმანიის მუშებს, რომ საყოველთაო გაფიცვა გამოეცხადებინათ, მაშინ უწესოება დამთავრდებოდა საშინელი შედეგით, შესაძლებელია, რომ მემარჯვენე პარტიები მოუთმენლათ ელოდებოდნენ ასეთ მომენტს, რომ მოერთმიათ გერმანიის ერთათვის ენერგიული მოღვაწე, ახალი კაპპის მსგავსი, მაგრამ პრუსიის მთავრობა იმდენათ კეთილ გონიერი იყო, რომ არ აჰყვა ასეთ კატასტროფიულ პოლიტიკას, ამიტომ სრულიათ ბუნებრივია, რომ მემარჯვენე პრესსა ახლა გაბოროტებულია მთავრობის წინააღმდეგ. (კავროსტა).

### მუშათა მოძრაობა მოგემიაში.

**მოსკოვი**. 5 მაისი. ჩრდილოეთ ბოგემიის სარაიონო მრეწველობაში ყველა მუშას ლოკაუტი გამოუცხადეს, რომ ხელი შეეშალათ მუშათა ხელში წარმოებების გადასვლისათვის. დააყენეს ძლიერი სადარაჯო და ცეცხლის მქრობი რაზმები. აუსტიგის ოლქში უმუშევრად დარჩა 1.700 მუშა მადნებ-ხის ოლქში ქუჩაში გამოყარეს 12, ხოლო კარლებადის ოლქში წარმოების მუშები. დათხოვნილ მუშათა საერთო რიცხვი აღწევს 100,000 კაცს. ელექტრონის სადგურების მუშებმა სოლიდარობისათვის გადაწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება. მრეწველების მოქმედებამ შეაკავშირა მუშები საპასუხო გადამწყვეტი ზომების მისაღებად.

### გერმანიის ახალ კაბინეტის მოქმედება.

**ნაუენი**. 14 მაისი. (რადიო). გერმანიის მთავრობის უმთავრეს საქმეთა პარლამენტის მომავალ სესიაში იქნება— შემუშავება საფინანსო გეგმების, რომლებიც საჭიროა ვალდებულების შესასრულებლათ ზარალის ანაზღაურების საქმეში. ვირტი წარადგენს კანონპროექტს ახალ გადასახადების შესახებ. იმპერიის კანცლერი ცდილობს კაბინეტის შევსებას გარეშე, საქმეთა და ფინანსთა მინისტრებით. გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტი შესთავაზა კუნოს, ჰამბურგ ამერიკის ხაზის მთავარ დირექტორს, რომელიც ამ ჟამათ იმყოფება ნიუ-იორკში. კუნომ ურყოფითი პასუხი გამოუგზავნა. რადგან ჯერ სხვა კანდიდატი არა ჰყავს, იმპერიის კანცლერი თითონ ჩაუდგება სათავეში გარეშე საქმეთა სამინისტროს.

### ბოლშევიზმის როლი.

**ანგორა**. 1 მაისი. ანგორის გაზეთი „ამანი" სპეციალურ წერილს უძღვნის საკითხს ბოლშევიზმის როლის შესახებ. რუსის საბჭოებმა, სწერს წერილის ავტორი, გააკვირვეს მთელი ქვეყნიერება. მხოლოთ რუსის კომუნიზმმა შეიძლო დიდ რუსის ერში იმპერიალისტურ სულის აღმოფხვრა, რუსის კომუნიზმმა იხსნა პროლეტარიატი ბურჟუაზიის ბრჭყალებისაგან. რუსის კომუნიზმმა მიანიჭა თავისთან თათრისა და თურქთა რესპუბლიკები და მოხიბლა ყველა მუსულმანების გონება. წითელი არმია თავის დიდების მწვერვალზეა ასული. წითელი არმია დაარსებული და დარაზმულია სომხეთსა და ფინლიანდიას, ლატვიასა, საქართველოსა და აზერბეიჯანში, რომელთა მოსახლეობაც 11 მილიონ სულს უდრის. ყველა ეს რესპუბლიკები, რომლებიც იტანჯებოდნენ რუსეთის იმპერიალიზმის უღელ ქვეშ, ტკბებიან ამ ჟამათ თავისუფლებით. კომუნიზმი ვრცელდება მთელ მსოფლიოში, იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ხივისა, ბუხარისა, სპარსეთისა, ავღანისტანისა, ინდოეთისა, ჩინეთისა და ეგვიპტეს ერებმა შეადგინეს ერთი წითელი არმია. (კავროსტა).

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება სტუდენტ-აგრონომების სამსახურის და ჯამაგირის შენახვის შესახებ.**

1) ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ორ უკანასკნელ მესამის და მეოთხე კურსის იმ სტუდენტებს, ვისაც კი რაიმე სამუშაო ან სამსახური აქვს დაწესებულება-წარმოებაში ან წითელ ლაშქარში, მიეცეთ შვებულება ზაფხულსა და შემოდგომაზე სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოს შესასრულებლად შემდეგი დროის განმავლობაში: 5 მაისიდან 1 ივლისამდე და სექტემბრის 1 დან ოქტომბრის 1 დღე.

2) შვებულების დროს პრაქტიკანტ სტუდენტებს შეენახოთ სათანადო დაწესებულება-წარმოებაში სამსახური, ხოლო მათ ოჯახებს დაუბრკოლებლივ მიეცეთ ჯამაგირი ან ნატურალური ულუფა.

3) ყველა დაწესებულებას და წარმოებას, სადაც კი პირველ მუხლში აღნიშნული სტუდენტები მსახურობენ, ევალებათ დაუყონებლივ გაანთავისუფლონ სამსახურიდან ზემოხსენებული ვადით; ხოლო კუთვნილი ჯამაგირით და ულუფით იმ შემთხვევაში დააკმაყოფილონ, თუ პრაქტიკანტი სტუდენტები ან მათი ოჯახები წარადგენენ სათანადო მოწმობას, რომ ნამდვილათ ასრულებენ სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოს.

შრომის სახ. კომისარი ლ. დუმბაძე.
საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.
შრომის დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ლ. ელბაქიანი.

**შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება**

1921 წლ. მაისის 14-ის თარიღით.

დამატებად შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტ აგრონომების სამსახურის და ჯამაგირის შენახვის შესახებ, ვაცხადებ, რომ ეს დადგენილება სავსებით ვრცელდება აგრეთვე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსელ სტუდენტებზედაც, რომელთაც პირველ დადგენილებაში აღნიშნულ პირობებით პრაქტიკულ სამუშაოს შესრულების დროს ენახებათ სამსახური, ჯამაგირი და ულუფა შემდეგი ვადის განმავლობაში: ზაფხულში 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე და შემოდგომაზე 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

შრომის სახ. კომისარი ლ. დუმბაძე.
საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

**შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება საავადმყოფო კასის მონაწილეთა და მათი ოჯახების წევრთათვის მისაცემ დახმარების ნორმის შესახებ.**

განსაკუთრებულ დებულების გამოქვეყნებამდე ტფილისის ქალაქის საავადმყოფო კასიდან გასაცემ დახმარების ნორმად დაწესდეს შემდეგი:

1) კასის მონაწილე ქალებს ფეხმძიმეობის განმავლობაში (რვა კვირა მშობიერობამდე და რვა კვირა მშობიარობის მერე) საავადმყოფო კასიდან მიეცემათ დახმარება.

2. კასის მონაწილეთა დასამარხად მიეცეთ სამუშაო ხელფასზე ოცდახუთჯერ მეტი თანხა, გარნა არა ნაკლებ 30 ათასი მანეთისა.

3) კასის მონაწილეთა ოჯახის წევრებს მიეცეთ;

ა) თუ ოჯახში მოზრდილი გარდაიცვალა, ოცი ათასი (20000) მანეთი;

ბ) ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში თხუთმეტი ათასი (15,000) მანეთი;

# რუსეთის კომპარტიის 10-ე ყრილობის რეზოლიუციები

### რეზოლიუცია პარტიული აღმშენებლობის შესახებ.

### I

**საერთო დებულებანი.**

1. რევოლიუციონური მარქსიზმის პარტია ძირითადათ უარჰყოფს იმ აზრს,— ვითომ არსებობდეს ისეთი ფორმა პარტიული ორგანიზაციისა ან მისი მუშაობის მეთოდი, რომელიც შეეხამება და შეეფერება რევოლიუციონურ პროცესის ყველა საფეხურებს. პირიქით, პარტიული ორგანიზაციის ფორმა და მისი მუშაობის მეთოდი სრულიად ისაზღვრება ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქის რეალური შინაარსით და იმ მიზნებით, რომლებიც წარმოიშობიან ხოლმე ამ რეალობის წიაღიდან.

2. ამ თვალსაზრისით ცხადია, რომ ყოველი ორგანიზაციული ფორმა და მასთან შეთანხმებული მუშაობის მეთოდები—რევოლიუციის მსვლელობის ობიექტიურ პირობების შეცვლასთან ერთად შეიძლება გადაიქცნენ პარტიულ ორგანიზაციის განვითარების ფორმის ნაცვლათ ამ განვითარების ბორკილებათ. და წინააღმდეგ: უვარგისათ გადაქცეული საორგანიზაციო ფორმა—შესაფერ ობიექტიურ პირობების აღორძინებაგანვითარების გამო—შეიძლება ხელახლად გადაიქცეს ერთათ-ერთი აუცილებელ და მიზანშეწონილ საორგანიზაციო ფორმად.

3. წინააღმდეგობა ახლად შექმნილ მდგომარეობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა და უკვე არსებულ საორგანიზაციო ფორმისა და მუშაობის მეთოდების შორის – მჟღავნდება საერთოდ უფრო ადრე, ვინემ აშკარავდება საერთო გეზის გამოცვლის აუცილებლობა. ეს უკანასკნელი უნდა გამოიცვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთოდ სავსებით შესრულებული იქნება უკვე არსებულ ორგანიზაციისა და მუშაობის მეთოდის მიერ ნაკარნახევი მიზანი.

4. ამა თუ იმ ისტორიულ ხანაში გამოსადეგ და მიზანშეწონილ პარტიულ ორგანიზაციის ფორმისა და მუშაობის მეთოდის მექანიკურათ გადატანა სხვა ორგანიზაციებზე, მაგ. საბჭოებზე ან ადმინისტრატიულ და ეკონომიურ ხასიათის ორგანოებზე—არ იქნებოდა სწორი და მიზანშეწონილი. ასეთი გადატანა იქნებოდა სრული დაიწყება იმ განსხვავების, რომელიც არსებობს მუშათა კლასის ავანგარდის (პარტიის) ორგანიზაციისა და სხვა ორგანიზაციების შორის, დავიწყება იქნებოდა განსხვავების კლასებთა და სხვა და სხვა ჯგუფებთა შორის თვით მშრომელთა ფარგლებში, დავიწყება იქნებოდა განსხვავების სხვა და სხვა მიზნების შორის, რომელსაც ისახავენ აღნიშნული ორგანიზაციები და სხ.

### II

**სამხედრო მოქმედების ხანა და ჩვენი პარტია.**

5. უკვე განვლილი დრო რევოლიუციის განვითარებისა ხასიათდება: მსოფლიო იმპერიალიზმის შეიარაღებული თავდასხმით საბჭოთა რესპუბლიკაზე, თავგანწირული ბრძოლით მტრებთან, განსაკუთრებით გარეშე ფრონტებზე, როდესაც საშიშროებაში იმყოფებოდა თვით არსებობა რესპუბლიკისა და როდესაც უკანასკნელი იძულებული იყო, მტრის მოგერიებასთან ერთათ, უზრუნველ ეყო რესპუბლიკის არსებობის უმთავრესი წყარო—ქვა-ნახშირი, ნავთი, საუკეთესო ხარისხის სახნავ სათესი ადგილები და სხ.

6. ამიტომ ძირითადი და უმთავრესი საზრუნავი საგანი იყო—საგანი სამხედრო ხასიათისა. მასთან შედარებით მეორე ხარისხის საკითხებათ იყვნენ მიჩნეულნი ყველა სხვა საკითხები, მათ შორის პარტიის კულტურულ-განმანათლებელი საკითხებიც კი.

ამნაირათ მთელი რესპუბლიკა გადაიქცა ვეებერთელა სამხედრო ბანაკათ და პროლეტარიატი იძულებული შეიქნა შეთვისებოდა ასეთ მდგომარეობას, რომ გადაეწყვიტა თავის არსებობის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

7. ამიტომ პარტიის საორგანიზაციო ფორმათ აღნიშნულ ხანაში, აუცილებელ მიზეზების გამო, უნდა ყოფილიყო პარტიული ორგანიზაციის მილიტარიზაცია.

სწორეთ ისე, როგორც პროლეტარიატის დიქტატურამ მიიღო ხასიათი სამხედრო პროლეტარული დიქტატურისა, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციის ფორმამაც, მდგომარეობის და-მიხედვით, მიიღო—და რევოლიუციონური მიზანშეწონილობის თანახმად უნდა მიეღო კიდეც—შესაფერი ხასიათი. ეს გამო საბა საერთოთ უარყოფის საორგანიზაციო ცენტრალიზმში და პარტიულ ორგანიზაციების კოლექტიურ ორგანოთა მჭიდრო შეკავშირებაში.

8. პარტიული მუშაობის მეთოდები დაკავშირებული იყვნენ აგრეთვე სამხედრო მოქმედების აუცილებლობასთან და შეფარდებული იყვნენ საორგანიზაციო ფორმებთან. ისინი საერთოთ იღებდნენ სამხედრო ბრძანებების სახეს, რომლებიც იცემოდნენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ და რომელნიც უდავოთ სისრულეში მოჰყავდათ პარტიის ყველა წევრებს. მუშაობის ტიპიური ხასიათი ამგვარათ გამოიხატებოდა დაუსრულებელ სამხედრო მობილიზაციების მოწყობაში და ამასთან დაკავშირებულ პარტიულ ძალთა გადაჯგუფებაში.

9. მხოლოდ პარტიის ასეთი სტრუქტურის საშუალებით შესძლო მუშათა კლასმა დაემარცხებინა მტრები და გამარჯვებული გამოსულიყო ბრძოლიდან. პარტიის ასეთი სტრუქტურა ომიანობის დროისათვის იყო უაღრესათ მიზანშეწონილი.

### III.

**წინააღმდეგობანი პარტიაში სამხედრო მოქმედების ხანაში.**

10. ძირითადი წინააღმდეგობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ დროის განმავლობაში პარტიის წევრთა რიცხვის გადიდებასთან ერთათ, მუშაობის განსაკუთრებულ პირობების გამო,—არ იყო საშუალება — სათანადო ყურადღება მიქცეოდა პარტიულ მასის კომუნისტურ აღზრდას, განსაკუთრებით კი პარტიაში ახლად შემოსულთა აღზრდას. ამას გარდა პარტიის თითქმის ყველა წევრების ჯარში გაწვევამ—და ამ გვარათ აქტიურ მუშაობაში ჩაყენებამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ყველაში, კულტურულათ ჩამორჩენილებშიაც კი, გაილვიძა ერთგვარმა თვითმოქმედების სურვილმა—პარტიულ საკითხების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღების სახით, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა პარტიულ მუშაობის ცენტრალიზმს და სამხედრო ბრძანების სისტემას, რომელნიც წარმოიშვა პარტიის პრაქტიკულ მუშაობის ნიადაგზე.

11. ომიანობით გამოწვეულმა ბიუროკრატიზმის ხარჯმა, რასაც მოჰყვა მთელი ქვეყნის გაღარიბება, შექმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ აუცილებელი შეიქნა—განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა ზოგიერთ უწყებებს და მუშათა ჯგუფებს, მათ შორის პარტიულ მუშაკებსაც. როგორც ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი, ამას მოჰყვა მატერიალური უთანასწორობის პროგრესიული ზრდა პარტიის წევრთა შორის და ეს ხდებოდა მთელი ქვეყნის გაღატაკების ზრდასთან ერთად.

12. ძველი საზოგადოებრივ და კლასიურ ჯგუფების დაშლა-დარღვევამ (განსაკუთრებით ინტელიგენციის და ქალაქსვამ) ამასთან ერთათ ოპოზიციაში მყოფ სოციალისტურ პარტიების დაშლა დარღვევამ (მენშევიკები, სოციალისტ რევოლიუც.) გამოიწვია აღნიშნულ ელემენტების ჩვენს პარტიაში შემოსვლა. და რადგანაც პარტიას სჭირდებოდა გამოცდილი და აქტიური მუშაკები, აღნიშნულ ელემენტებს კი ჰქონდათ გამოცდილება თავიანთ პარტიებში მუშაობის გამო, უკანასკნელებმა შეძლეს შედარებით წინ წასულიყვნენ სამხედრო, პროფესიონალურ ან პარტიულ სამსახურის სფეროში.

13. ქვეყნის იმავე მატერიალურ გაღატაკებასთან ერთათ, ცენტრალისტურ პრინციპზე მოწყობილმა აპარატმა, რომელიც წარმოიშვა კულტურულათ მეტად ჩამორჩენილ მასის წიაღიდან,—გამოიწვია აპარატის ერთგვარი გაბიუროკრატება და მასწყვეტა მის ხალხს.

14. ამნაირად ომიანობის ხანამ წარმოშვა ერთის მხრით საერთოთ მიზანშეწონილი ორგანიზაცია, მეორე მხრით კი სხვა და სხვა წინააღმდეგობათა მთელი რიგი. სამხედრო ბრძანებების სისტემა ხშირათ იღებდა იძულების არასასურველ და დამახინჯებულ სახეს; აუცილებლობით შექმნილი პრივილეგიები ქმნიდნენ ნიადაგს სხვა და სხვა გვარ ბოროტმოქმედებისათვის; პარტიული ორგანოების ხალხიდან გათიშვა შეიქნა პარტიის ჩამორჩენილობის მიზეზათ და სხ. ყველა ამან პარტია მიიყვანა შინაურ კრიზისამდე.

### IV

**ახალი ხანა. მისი მიზნები და პარტიის აღმშენებლობითი პრინციპები.**

15. მიმდინარე მომენტი ხასიათდება ერთის მხრით გარეშე სამხედრო ფრონტების თითქმის სრული ლიკვიდაციით, მეორე მხრით—ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში წინააღმდეგობათა უკიდურეს გამწვავებით: უცხო სახელმწიფოთა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის ახალი ფორმა, რომელიც გამოიხატება შეთქმულებებისა და ამბოხებების მოწყობაში; მძიმე ეკონომიური კრიზისი და მასთან დაკავშირებული სასურსათო კრიზისი; მუშებსა და გლეხებს ურთიერთ შორის დამოკიდებულების გამწვავება, რომელსაც ხელს უწყობდა უკანასკნელი წლის მოუსავლიობა; მუშების ფართო მასის დაღალვა და დაქანცვა, რომელიც გამოწვეული იყო მრავალ მტერთან დაუსრულებელი ბრძოლით,—ყველა ამ მოვლენებმა დემობილიზაციის დროს მიიღეს უკიდურესათ მწვავე ხასიათი და ხელახლად განსაცდელში ჩააყენეს საბჭოთა რესპუბლიკა. თვით მუშათა კლასზე ამ მოვლენებმა იქონიეს გავლენა იმ მხრით, რომ შესამჩნევათ შესუსტდა კავშირი პროლეტარიატის ავანგარდისა (პარტიის) და უპარტიო მასას შორის, რომლის ერთი ნაწილი—საერთო ეკონომიურ კრიზისის გამო მოჰყვა წვრილ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ, თვით პარტიაში კი შესუსტდა შინაგანი კავშირი და პარტიული მჭიდროება.

ამნაირათ მიმდინარე ხანა თვით არის მრავალ გვარ წინააღმდეგობათა მატარებელი და ეს იმდენათ, რამდენათაც მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლა, ახალ ვანდელ ისტორიულ პირობებში, თავს გვახვევს ბრძოლის ახალ ფორმებს შინაურ ფრონტზე.

16. თუ წარსულ ხანაში პარტიის ორიენტაცია და მთელი მისი ყურადღება მიმართული იყო სამხედრო მზადება-მოქმედებისაკენ—ეხლა მთელი მისი ყურადღება მიქცეულია პარტიის წევრთა კულტურულ ამაღლებისა და მათ მიერ საერთო პარტიულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობის მიღებისაკენ. ამასთან ერთად ყურადღებაა მიქცეული იმ გარემოებაზე, რომ პარტიის წევრებმა ერთგვარი გავლენა იქონიონ უპარტიო მასაზე, მათთან დაახლოვდნენ და საერთოთ პარტია ყოველ ჟამს მზად იყოს კონტრ რევოლიუციასთან საბრძოლველათ.

დღეს უფრო საჭიროა და აუცილებელი ვიდრე ოდესმე, რომ პარტია აბსოლუტურათ გაერთიანდეს და შეკავშირდეს. ეს შეკავშირება უნდა იყოს არა მარტო ფორმალური და მექანიკური, არამედ იდეიური ბრძოლის სურვილით აღჭურვილი. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მუშათა კლასი დადგება სათანადო კულტურულ სიმაღლეზე, თუ ყოველი პარტიის წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კასის მონაწილის ცოლს მოლოგინობისათვის ათი ათასი (10,000) მანეთი.

შრომის სახ. კომისარი **ლ. დუმბაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ბერძნიშვილი.**

შრომის დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე **ლ. ელბაქიანი.**

**თფილისის სახელმწიფო კონსერვატორიას, თფილისის, ქუთაისის და თელავის მუსიკალურ სასწავლებლებს, თფილისის სამუსიკო ინსტიტუტს. ყველა გიმნაზიებს, სასწავლებლებს და საზოგადო დაწესებულებებს.**

## ბრძანება № 1.

**ხელოვნების განყოფილების მუზის ნაწილის გამგისაგან.**

1. წინადადება გეძლევათ მოახდინოთ სრული აღწერა თქვენდამი რწმუნებულ დაწესებულებაში არსებულ სამუსიკო იარაღებისა, ნოტების, მუსიკალურ ქონებისა და ინვენტარისა.

2. დაწვრილებითი სიები წარმოდგენილი უნდა იქნეს მუზის ნაწილში სიის წარმომდგენ დაწესებულების უფროსის ხელის მოწერითა და შემოწმებით.

3. სიის სისწორეზე პასუხს აგებს დაწესებულების უფროსი.

4. სიები წარმოდგენილ უნდა იქნეს ამა წლის მაისის 25 მდე (ლორისმელიქოვის ქუჩა სახლი № 5 ხელოვნების განყოფილება)

მუზის გამგე **მ. ბალანჩივაძე.**

საქმის მწარმოებელი **შ. ლეკვიაშვილი.**

ქ. თბილისი 10 მაისი 1921 წ.

## 26 მაისის ნამდვილი სახე

რუსეთის პროლეტარიული ფრონტის დეზერტირებმა, სოციალისტური რევოლიუციის რენეგატებმა,—მენშევიკებმა, 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს ე. წ. „საქართველოს დამოუკიდებლობა". ჯერ იყო და ამიერ-კავკასიის „სეიმი" გამოცხადდა. სულიერათ ერთნი, მაგრამ შოვინისტურათ თვისნი, ე. ი. მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელები სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში ერთი მეორეს გაეყარენ. პოლიტიკური კრეტინები განსაკუთრებულ დიპლომატიას ეწეოდენ ამიერ კავკასიის სეიმის გამოცხადების დროს. ეს იყო მათი მატყუარობა და ხალხის გაბიაბრუება. მათ არავითარი გულწრფელობა არ ალაპარაკებდათ მაშინ. მათ მოისურვეს დროებითი თავშესაფარი ენახათ. ფიქრობდენ: მალე რუსეთის პროლეტარიატი და ბოლშევიკები დამარცხდებიან, ძალაუფლებას ისევ ბურჟუაზია აიღებს ხელში და კვლავ შეუერთდებით რუსეთის ბურჟუაზიასო. ამას ისინი არ მალავდენ, არც წერით და არც სიტყვით. პირველი იმედები გაუცრუვდათ. რუსეთის პროლეტარიატი ძლიერი აღმოჩნდა მენშევიკების საუბედუროთ. შიგნით სილაზე აშენებული სახლი მალე თავზე ჩამოენგრათ („სეიმი"), რაღა დარჩა.—გამოაცხადოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მართალია ეს დამოუკიდებლობა არ იქნება, მაგრამ დროებით თავს შევინახავთ, ბოლშევიზმი უთუოდ დამარცხდება. რუსეთში ბურჟუაზია მაინც გაიმარჯვებს და ჩვენც დაუყოვნებლივ რუსეთის ბურჟუაზიას შეუერთდებითო!.. ვერც ერთ მენშევიკურ ლიდერს საქართველოს დამოუკიდებლობა ვერასოდეს ვერ წარმოედგინა. ამას მოწმობს ათი წლობით მათი დავა სოც.-ფედერალისტებთან და სხვ. ნაც. პარტიებთან. ნ. ნოე ჟორდანიას არა ერთი დაუნდობელი ფელეტონი გამოუცხვია ამ თემაზე. თვით ე. წ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დროს მენშევიკებს ლიდერები: ნ. ჟორდანია, გეგეჭკორი, წერეთელი და სხვები არ მალავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათ იძულებით გამოაცხადეს, რომ ეს მათთვის კერპი არ არის. სხვა პირობებში ისინი ისევ რუსეთს შეუერთებენ მას. ასეთი აზრებით ემამათ მათ დიდი ალიაქოთი ასტეხეს ნაც. პარტიებთან პრესაში. ვის არ ახსოვს ეს? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მენშევიკებს გულწრფელათ არაოდეს საქართველოს დამოუკიდებლობა არ გამოუცხადებიათ და არც სწამდათ მათ ის. ეს უნდა იცოდეს ქართველმა ხალხმა. მენშევიკების ბატონობის დროს იყო მხოლოდ მენშევიკების, შინაური და გარეშე ბურჟუაზიის დამოუკიდებლობა. ეს იყო რამიშვილის მინისტერიალიზმის და მექი კედიის მათრახების დამოუკიდებლობა. წვრილი ბურჟუაზიული პარტიები, მაგ. სოც.-ფედერალისტები, ესერები, რომელთაც არასოდეს არ ჰქონიათ სოციალისტური, პროლეტარული შემეცნება, რა თქმა უნდა, ერთბაშად წამოეგენ მაშინ მენშევიკების გადასროლილ ანკესზე. მართალია, შემდეგ ფედერალისტებიც დაიყვ ნ ზანაკებათ, ესერებიც ის ნ ა თავი მემარჯვენე-მემარცხენეობამ, მაგრამ დღემდე ვერც ერთი „მემარცხენე" გარკვეულ გზას, სოციალისტური რევოლიუციის გზას ვერ დაადგა. პროლეტარიატის დიქტატურის შემოქმედებას ასვალ დას ვალი ვერ გაუგეს. ენახოთ, რა იქნება შემდეგში, შეიძლება მენშევიკებზე უფრო ადრე მათ გაიგონ კომუნიზმის მოძღვრება, მხოლოდ დღეს ყველა სოციალისტურად მოაზროვნემ, რომელიც ამდენ ხან გვებრძოდა ჩვენ, თუ კალმით, თუ იარაღით, რომელიც ჩვენ თანამშრომლათ დარჩა აქ სოციალისტურ საქართველოში, ერთი ჭეშმარიტება კარგად უნდა გაიზეპიროს. ეს არის: **ნამდვილი დამოუკიდებელი საქართველო მან შემდეგ შეიქნა, როცა ის გახდა მუშების და მშრომელი გლეხების საქართველოთ.** არც მეტი, არც ნაკლები. ეროვნულმა დამოუკიდებლობამ სწორედ მაშინ გაიმარჯვა, როდესაც საქართველოში პროლეტარულმა რევოლიუციამ გაიმარჯვა და ქართველი მშრომელი ხალხის ძალა უძლეველი დამყარდა. ეს ანბანური ჭეშმარიტება უნდა იცოდეს ყველამ—მტერმა და მოყვარემაც, მთელი საუკუნოებით დამონებული, ქართველი ხალხი, სწორედ 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ განთავისუფლდა საქართველოს კომუნისტური პარტიის და რუსეთის ძმური წითელი ლაშქრის დახმარებით ისტორიაში სწორედ ასე ჩაიწერება ეს. ვისაც ეს ახლა არ სწამს, ის თვით ცხოვრების ულმობელი კანონებით იძულებული იქნება იწამოს ის.

როდესაც ჩვენ, რევოლიუციონური მარქსისტები მთელი ჩვენი ბრძოლის ისტორიის განმავლობაში თავდადებით რუსეთის მშრომელ ხალხთან მჭიდრო ერთ ბას ვიცავდით, ეს გვინდოდა სოციალიზმის გამარჯვებისთვის. ეროვნული დაქსაქსვა დიდ ზარალს მოუტანდა რევოლიუციონურ მსვლელობას, მენშევიკ-კრეტინებმა ეს ვერ შეიგნეს.

სოციალიზმის სრული გამარჯვება მოასწავებს ერის თავისუფლებას მეორე გზა არ არის, ჩვენშიც გაიმარჯვა მშრომელმა კლასმა. რა თქმა უნდა ქართველი ერიც სწორედ ახლაა გამარჯვებული. სოციალისტური საქართველოს ტერიტორია განთავისუფლებულ ქართველ მშრომელ მასსას ეკუთნის. კომუნისტური პარტია, საქართველოს მშრომელი ხალხი და მისი წითელი ლაშქარი, რა თქმა უნდა განთავისუფლებულ საქართველოს ამიერიდან აღარავის საჯიჯგნავათ აღარ გახდის. მენშევიკების დროს კი საქართველო ყოველგვარ შავ ძალების საქმელათ იყო გამოცხადებული. სოციალისტური საქართველო მჭიდრო ძმურ კავშირს დაიჭერს ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან. საქართველოს მხნე და ჩამაცი ხალხი ყველა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად შინაურ მტერსაც გაუმკლავდება და გარეშესაც. ამ წლის 26 მაისი ჩვენმა მშრომელმა ხალხმა ამ სწორედ ასე უნდა გაიგოს. რა თქმა უნდა მენშევიკებს არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდესთ იმ მატყუარობისათვის, რომელსაც ისინი სამი წლის განმავლობაში ატარებდენ. მათგან გაძარცული ქართველი ერი, რა თქმა უნდა, მატყუარებს აწი კარებამდისინაც აღარ ენდობა.

**ბუდუ მდივანი.**

## ქრონიკა

**ქალაქის რევკომის განცხადება.** ქ. ტფილისისა და მის რაიონების სარევოლიუციო კომიტეტი მოთავსებულია ყოფილ საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობაში (სოლოლაკის ქ. № 5.) იქვე მოთავსებულია სამმართველოს განყოფილება. მთხოვნელების მიღება სწარმოებს თავმჯდომარესთან ან მისი მოადგილესთან დღის 12 დან—2 საათამდე. სამმართველოს განყოფილების გამგესთან დღის 11 დან—1 საათამდე. ტელეფონის ნომრები. პრეზიდიუმის 15 06 საერთო (ტელეფონოგრამებისათვის) 17-62. სამართველოს განყოფილების გამგისა 1 80.

**შინაგან საქმეთა კომისარიატში.** უმაღლესი ხელისუფალთა ბრძანების შეუსრულებლობის და საქმისადმი დაუდევრობის გამო სამსახურიდან დათხოვნილია გორის სამაზრო მილიცის უფროსი ბერიშვილი, მის ადგილზე დანიშნა ამხ. ვ. ათაბეგი.

**კახეთის რკინის გზის დათვალიერება.** 4 მაისს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის რკინის გზების კახეთის ნაწილის დასათვალიერებლად წავიდა გზების უფროსი მირონოვი ექსპლოტაციის, წევის, რემონტის, ლიანდაგის და ტელეგრაფის უფროსების თანხლებით.

**ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების კრება.** დღეს 18 მაისს, საღამოს 8 საათზე თბილისის მიხეილის საავადმყოფოში შედგება მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა. მოხსენებას წაიკითხავს მედიცინის დოქტორი მ. კალანდარაშვილი—„საზოგადო ქირურგიის ქართულ ტერმინოლოგიისათვის".

**ქართველ ხელოვანთა საერთო კრება.** ხუთშაბათს, მაისის 19 ს, საღამოს 6 საათზე ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის, 23) დანიშნულია საქართველოს ხელოვანთა საერთო კრების გაგრძელება. განსახილველია: 1) ხელოვანთა კავშირის წესდება და 2) მიმდინარე საკითხები.

— **მოხსენებები.** პოლიტიკურ განათლების მთავარი მმართველობის სალექციო ბიურო დღეს 18 მაისს გამართავს სტუდენტების კლუბში (სერგიევის ქ. № 3) ლექციის შემდეგ თემაზე: „ეროვნული საკითხი და კლასიური ბრძოლა", ხუთშაბათს, 19 მაისს „ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა ქვეყნებში" მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნიტაბური. ლექციების შემდეგ მსჯელობა და კამათი დასაწყისი საღ. 8 საათ.

## ხელოვნება

უკვე დამთავრდა ხელოვნების განყოფილებასთან სალიტერატურო ნაწილის ორგანიზაცია, შემუშავდა გეგმა მომავალ გამომცემლობისა და მოწვეულ იქმნენ ხელმძღვანელნი. განზრახულია ხუთი გამოცემა: 1) თვიური ქართული ჟურნალი; პირველი ნომერი მაისში უნდა გამოვიდეს. 2) კოველკვირეული ჟურნალი. 3) თანამედროვე ქართველ მწერალთა კრებულები, 5 კრებული ამ წლის გასვლამდე, თითო კრებული 160 გვერდით, 4) არა თანადროულ ქართველ მწერალთა კრებულები, 5 კრებული, 5) ევროპის და რუსეთის რჩეულ მწერალთა კრებულები, 10 კრებული, თითოში 80 გვერდი.

თვიური და კვირეული ჟურნალის გამოცემას უკვე შეუდგა სალიტერატურო განყოფილება, ხაჭირო ქართველმა მწერლებმა ყოველგვარი მასალა [illegible] ლებისათვის—ლექსები, მოთხრობები, სურათები, რომანები, ესკიზები, დრამები, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფია და სხვა—საჩქაროდ გამოგზავნონ ამ მისამართით: ლიტერატურული განყოფილება (ლორის მელიქოვის ქ. № 5, ყოფილი ამიერ-კავკასიის ბანკი). ავტორები მიიღებენ შესაფერ ჰონორარს იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდება.

## პარტიული ცხოვრება

**მეტეხთან და კომუნისტურ ფრაქციის ბიუროსაგან.**

ოთხშაბათს, მაისის 18 საღამოს 5 საათზე კავშირის შენობაში შესდგება მეტეხთელთა კომუნისტურ ფრაქციის სხდომა. ვინც არ გამოცხადდება მათი გვარები ეცნობება რევკომს სათანადო ზომების მისაღებათ.

**თფილისის პარტკომის პლენალური სხდომა**

კვირას, 15 მაისს შესდგა ს. კ. პ. თფილისის კომიტეტის პლენალური სხდომა.

წარმოდგენილი იყვნენ ამხანაგები ყველა რაიონული პარტკომებიდან, პროფკავშირებიდან, ქალაქის რევკომიდან, მუშურ გლეხურ ინსპექციიდან და აგრეთვე წითელი ჯარის ნაწილებიდან.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. ს. ჯუღელი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი:

1) ქალაქის დეპუტატთა საბჭოს არჩევნებისთვის წინასწარი მომზადება.

2) მოხსენებები ადგილებიდან.

3) 26 მაისის დღესასწაულის შესახებ.

პირველ კითხვაზე პატარა მოხსენების გაკეთების შემდეგ არჩეული იქმნა კომისია შემდეგი ამხანაგებისგან: გ. ყურულიშვილი, ლ. გოგობერიძე, ვ. ივანოვი, და ნასარიძე (უკანასკ. კანდიდატათ). კომისიას დაევალა საარჩევნო გეგმის შემუშავება და არჩევნების ჩასატარებელი ტეხნიკური ორგანიზაციების მოწყობა.

---

რი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პარტიის ცხოვრებაში, მის მოქმედებაში, თუ გამოყენებული იქნება მდიდარი გამოცდილება, რომელიც მუშათა კლასმა მიიღო წარსულ ხანაში სოციალ-პოლიტიკურ სხვადასხვა დარგში, თუ პარტია ხელახლად თავს მოიყრის და მოახდენს იმ ჯგუფებით დაყოფის ლიკვიდაციას, რომელიც მას წილად ხვდა ომიანობის ხანაში. საჭიროა დაახლოვება პარტიის ყველა საფეხურების, სამხედრო და სამოქალაქო დარგებში. მომუშავეების, პარტიის ძველისა და ახალი წევრების, მოხუცთა და ახალგაზრდების; ამ ძირითადი საკითხების გადაუწყვეტლათ პარტია ვერ შესძლებს იმ უზარმაზარ აღმშენებლობითი და სამეურნეო პრობლემის გადაჭრას, რომლებიც მის წინაშე სდგას.

17. ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნება, თუ გაუქმებული არ იქნება ძველი საორგანიზაციო ფორმები. მიმდინარე მომენტის მორიგი მოთხოვნილებანი თხოულობენ ახალ საორგანიზაციო სარჩულს. ასეთ ფორმათ უნდა ჩაითვალოს ფორმა მშრომელ დემოკრატიისა. კურსი მშრომელ დემოკრატიისაკენ უნდა იქნეს აღებული ისეთივე გამბედაობით და ისეთივე ენერგიით უნდა გატარდეს ცხოვრებაში, როგორც წარსულ ხანში ტარდებოდა პარტიის მილიტარიზაციის პრინციპი. ამასთანავე მიღებული უნდა იყოს მხედველობაში ის გარემოება, რომ პარტიამ არ დაკარგოს უნარი კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლისა.

18. ორიენტაცია მშრომელ დემოკრატიისაკენ გულისხმობს ისეთ საორგანიზაციო ფორმას, როდესაც პარტიულ კომუნისტურ, პოლიტიკის წარმოების დროს პარტიის ყველა წევრისათვის, რაგინდ ჩამორჩენილი იყოს ის კულტურულათ, უზრუნველ ყოფილი იქნება მისი პირადი მონაწილეობა პარტიის ცხოვრებაში, მონაწილეობის მიღება სხვა და სხვა პარტიულ საკითხების გადაწყვეტაში და აგრეთვე პარტიის აღმშენებლობის საქმეში. ამ პრინციპზე აგებული ფორმა უარჰყოფს ყოველგვარ დანიშვნას ზევიდან, როგორც სისტემას, პირიქით, ის ნახულობს თავის გამოხატულებას ყველა დაწესებულებების ფართო არჩევნების ნიადაგზე მოწყობაში და მათ ამ არჩევანის კონტროლის ქვეშ ყოფნაში.

19. მუშაობის მეთოდათ აღიარებულია ისეთი ფორმა, როდესაც ყოველი სერიოზული საკითხი უნდა იქნეს განხილული ფართო მასაში. ადგილი ეძლევა ფართო დისკუსიას და თავისუფალ კრიტიკას პარტიულ წრეებში. საერთო პარტიული დადგენილებები მუშავდება კოლექტიურათ. ასეთი მეთოდი იღებს დღეს ისეთ აუცილებლობის ხასიათს და სერიოზულ სახეს, როგორც სამხედრო ბრძანებების სისტემა სამოქალაქო ომიანობის დროს და მათი უცილებლივ სისრულეში მოყვანის მოთხოვნილება. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ ამა თუ იმ დადგენილების მიღებისათანავე ის სისრულეში უნდა იყოს მოყვანილი დაუყონებლივ, მაქსიმალურათ და სრულის სისწორით. ცხადია ისიც, რომ პარტიას უნდა შესწევდეს სათანადო უნარი—გადავიდეს სახედრო ბრძანებების სისტემაზე, თუ ამას მდგომარეობა მოითხოვს.

20. ამნაირათ პარტიის შინაური ცხოვრების უმთავრეს მიზანს შეადგენს არა მისი რიცხვობრივათ გადიდება, არამედ მისი კულტურული ღირსების ამაღლება, კომუნისტური აღზრდა-შეგნება, აქტივობა და თვითმოქმედების უნარი, აგრეთვე აბსოლუტური პარტიული გაერთიანება და პარტიის ყველა ჯგუფებთა შორის მჭიდრო კავშირი.

V.

**საერთო ზომები პარტიის გაჯანსაღებისათვის.**

ვინაიდან ჩვენს პარტიაში შემოვიდა წვრილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი და აგრეთვე კომუნისტურათ სრულიად მოუმზადებელი, მეშჩანურათ განწყობილი ინტელიგენტური და ნახევრად ინტელიგენტური ელემენტები; ვინაიდან უუდიდესი ნაწილი კომუნისტ მუშებისა თითქმის ყველა ჩაბმულია საბჭოთა წყობილების აღმაშენებლითი მუშაობაში, რის გამოც ის მოწყვეტილია მუშაობას ფაბრიკა-ზავოდებში და აგრეთვე იმის გამო, რომ სამოქალაქო ომმა შეიწირა პარტიის წევრთა აურიცხველი რიცხვი,—ჩვენს წინაშე დგება საკითხი მუშებისადმი მოწოდებისა პარტიაში ჩასაწერათ და აგრეთვე საკითხი პარტიის გაწმენდისა არა კომუნისტურ ელემენტებიდან, რისთვისაც საჭიროა, რათა აღნუსხული იყოს ყოველი წევრი რ. კ. პ. იმის და მიხედვით, თუ რომელი მათგანი რა მუშაობას ეწევა ან თუ ირიცხება პარტიის წევრათ.

22. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრი დაარღვევს პარტიულ დისციპლინას, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი ის პირები, რომელთა დასტურით იყვნენ ჩარიცხული პარტიაში დისციპლინის დამრღვეველნი; თუ დისციპლინის დარღვევა ამა თუ იმ პარტიის წევრის მიერ განმეორდა, დასტურის მიმცემი სრულიად დათხოვნილ იქნება პარტიიდან.

რომ პარტიაში არ მოხვდნენ არასასურველი პირები,—ახალ წევრების მისაღებათ დასტურის მიმცემთ უნდა ჰქონდეთ პარტიაში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა. საკანდიდატო სტაჟი იმ ამხანაგისათვის, რომელნიც არ ეკუთვნიან მუშებსა და გლეხებს, დიდდება ერთ წლამდე.

23. ყრილობა ვალდებულათ ხდის ც. კ. და მის საორგანიზაციო ბიუროს—თვალ ყური ადევნონ იმ მუშებს, რომლებმაც თავი ისახელეს რაიმე დარგში, რომ ისინი დაინიშნონ ხოლმე საპასუხისმგებლო ადგილებზე ცენტრში ან ადგილობრივ, ყრილობა სთვლის პარტიის ერთ ერთ ნაკლულოვანებათ იმ გარემოებას, რომ მან დღემდის ვერ შესძლო თავისი ძალების გამოყენება და ამა თუ იმ პირის სათანადო და ღირსეულ პოსტებზე დანიშვნა, ვერ შესძლო აგრეთვე ფართო ასპარეზი მიეცა ამ ძალებისა გასავითარებლათ.

24. ყრილობა ადასტურებს სრულიად რუსეთის 1920 წ. კონფერენციის დადგენილებებს და ავალებს ც. კ.-ს და საკონტროლო კომისიებს—თვალ ყური ადევნოს, რათა პარტიის წევრები არ სარგებლობდნენ თავისი მდგომარეობით და მატერიალური უპირატესობით. ყრილობა სრულიად ადასტურებს იმ პრინციპს, რომ პარტიის ყველა წევრები მატერიალურათ უნდა იყვნენ გათანასწორებულნი.

25. ყრილობა სთვლის ძირითად თავის მოვალეობათ, რათა გაძლიერდეს მუშაობა პარტიის დაბალ წრეებში და აგრეთვე უპარტიოთა შორის, რათა ამ გზით დაუახლოვდეს პარტია მუშებისა და გლეხების ფართო მასას. ამისათვის საჭიროა, რათა ყველა პასუხისმგებელი პარტიის წევრნი იხდიდნენ ერთგვარ პარტიულ მუშაობას ბეგარას, ე. ი. რომ ყველა ისინი ჩაებნენ საორგანიზაციო მუშაობაში პროლეტარიატის ცხოვრების თვით შუაგულში.

VI **მშრომელი დემოკრატია და კვალიფიციურ მუშების განაწილება.**

26. აღნიშნული პირების განაწილება უნდა ხდებოდეს საქმიანობის თვალსაზრისით. ამასთან ერთად ამხანაგები, რომლებიც ინიშნებიან სამუშაოთ პარტიის უმაღლეს ორგანოების მიერ, უნდა იგზავნებოდნენ დაბალ ორგანოების კანკარგულებაში, როგორც ამა თუ იმ დარგის მცოდნე პირები. ასეთ პირებს არამც და არამც არ უნდა ეძლეოდეს განსაკუთრებული მანდატები, როგორც ე. წ. საგანგებო რწმუნებულობით აღჭურვილ პირთ.

27. საჭიროა მე 8 ყრილობის დადგენილებების სისრულეში მოყვანა იმის შესახებ, რომ იქ ამხანაგები, რომლებიც ხანგრძლივათ მუშაობენ პარტიულ ორგანიზაციებში, იგზავნებოდნენ დრო გამოშვებით ფაბრიკა ზავოდებში და სოფლებში—ის სამუშაოთ. ასეთი ამხანაგები უნდა იყვნენ ჩაყენებული ჩვეულებრივ მუშების მდგომარეობაში.

28. იმ მოსაზრებით, რომ, რაც შეიძლება, ფართო პარტიული მასსა იღებდეს მონაწილეობას პარტიის ყოველდღიურს და მის აღმასრულებელ ორგანოების მუშაობაში,—საჭიროა შემდეგ ბის დაგვარით, რათა წაკითხულ იქნეს ხოლმე ორგანიზაციის საერთო კრებებზე იმ მუშების სია, რომელთა შესახებ განზრახულია ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს ხოლმე ის მოსაზრებანი, თუ რატომ ეს და არა სხვა ამხანაგი იყო შეტანილი სიაში.

29. სამსახურის უწყვეტის პრინციპის წინააღმდეგ საბრძოლველათ საჭიროა, რათა ესა თუ ის ამხანაგი დრო გამოშვებით და სისტემატიურათ გადაყვანილ იქნეს ხოლმე სამუშაოს ერთი დარგიდან მეორე დარგში, მხოლოთ იმ პირობით, რომ მის საშუალება ჰქონდეს დარჩეს ამა თუ იმ ადგილზე საკმაო დროის განმავლობაში, რომ ცხად ჰყოს თავისი მუშაობის ნაყოფი და პასუხი აგოს პარტიის წინაშე თავის მუშაობაში.

VII

**მუშური დემონსტრაციები და პარტიის შინაური ცხოვრება**

30. პარტიული ცხოვრების გამოცოცხლებისათვის საჭიროა შემდეგი ზომები.

ა) სისტემატიურათ უნდა ხდებოდეს პარტიის ყველა წევრების საერთო კრებები პარტიული კომიტეტების მიერ წინასწარ შემუშავებულ პლანის თანახმად. აქ კრებებზე უნდა ხდებოდეს ფართო განხილვა ყველა უმთავრეს საკითხებისა—როგორც საერთო პარტიულ აგრეთვე საერთო პოლიტიკურ და ადგილობრივ ხასიათისა. ასეთ კრებებზე ადგილი უნდა ჰქონდეს აგრეთვე ისეთ საკითხების განხილვას რომელნიც პარტიის ცხოვრების მიერ ახლად იქნებიან წამოყენებული, აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა მთავრობის ორგანოების მოხსენებები. ამასთანავე კომიტეტები ვალდებულნი არიან მიიღონ ხოლმე სათანადო ზომები, რათა ასეთი კრებები არ ისაზღვრებოდნენ მარტო ქალაქის ფარგლებით, არამედ ვრცელდებოდნენ მთელს გუბერნიაზე, რისთვისაც საჭიროა იგზავნებოდეს ადგილობრივ პასუხის მგებელი ამხანაგები. პარტიული საკითხების მხოლოდ ასეთ სისტემატიურ გაშუქების საშუალებით შეიძლება პარტიული ცხოვრების სათანადო სიმაღლეზე აყვანა და პარტიის წევრების კულტურულათ მომწიფება.

ბ) პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა კრებების სისტემატიურად მოწვევაც რომელთა დღის წეს რიგი წინასწარ უნდა იყოს გამომუშავებული, იმ ანგარიშით, რომ ასეთ კრებებზე დამსწრე პარტიის საშუალო წევრებმა მიიღონ მაქსიმალური სარგებლობა.

გ) სისტემატიური კონტროლი პარტიის მიერ ხელმძღვანელ ორგანოებისადმი და მათ შორის საქმიანობაზე დამყარებული მუდმივი კავშირი. პარტიული კომიტეტები თავის მუშაობის შესახებ ანგარიშს უნდა ურდგენდნენ არა მარტო პარტიის უმაღლეს ორგანიზაციებს, არამედ დაბალ ორგანიზაციებსაც. დათხოვნა პარტიის რომელიმე ორგანიზაციის მასზე მაღალ პარტიულ ორგანოს მიერ დასაშვებია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ამ ორგანიზაციის მიერ დარღვეულია პარტიის ყრილობის რომელიმე დადგენილება, ან ცირკულიარი და განკარგულება, რომელნიც გამოცემულია პარტიული ყრილობის დადგენილებების განსამარტავათ. ყველა დანარჩენ შემთხვევებში მაღლა მდგარი ორგანო იწვევს შესაფერ კონფერენციას ან დელეგატთა ყრილობას, რომლებზედაც უნდა გაირჩეს რომელიმე საკითხი ან კონფლიქტი. სანამ საკითხი გაირჩევოდეს აქ მოყვანილ წესით—მაღალ ორგანოს მიერ გამოტანილი დადგენილება ძალაში რჩება და დაბალ ორგანიზაციას უფლება არ აქვს ამ დადგენილების ცხოვრებაში არ გატარება.

(დასასრული ხვალ).

მეორე კითხვაზე ადგილობრივ პარტკომების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული იქმნა მოხსენებები თავიანთ რაიონებში პარტიული მუშაობის მსვლელობის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტიის წევრთა ხელახალი აღრიცხვა დასრულებულია, და ამ ჟამად ემზადებიან რაიონული კონფერენციების მოსაწვევათ, სადაც არჩეულ უნდა იქნენ რაიონული კომიტეტები.

დასასრულ უკანასკნელ კითხვაზე 26 მაისის მომწყობ კომისიის წევრმა ამხ. გ. ნუცუბიძემ გააკეთა მოკლე ინფორმაციული ხასიათის მოხსენება ამ კომისიის მუშაობის შესახებ. მხედველობაში იქმნა მიღებული კომისიის მიერ გადადგმული ნაბიჯები დღესასწაულის მოსაწყობათ. ამხანაგებს დაევალა რომ მათ რაც შეიძლება შეუწყონ ხელი დღესასწაულის კარგად ჩატარებას. ამით სხდომა დაიხურა.

ხე—ტი.

# მუშათა ლაშქარი

(საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა)

**ლონდონი.** 2 მაისი საინტერესო ცნობას იძლევა ინგლისის მუშათა პრესა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. სტატისტიკა 20 ქვეყნებს იცავს და იძლევა პროფკავშირების განვითარების სურათს 1910 წლ. დაწყებულიდან 1919 წ. დამლევამდე. ამ 20 ქვეყანაში 1910 წ. შეკავშირებული მუშა 10,830,000 სულამდე ითვლებოდა. 1919 წ. ბოლოს ეს რიცხვი 32,680,000 დე გაიზარდა. შეკავშირებული მუშათა რიცხვი ყოველს თვითეულს სახელმწიფოში შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

| | 1910 წ. | 1919 წ. |
|---|---|---|
| გერმანია | 2,960,000 | 9 000 000 |
| ინგლისი | 2,400 000 | 8,024 000 |
| შეერთ. შტატ. | 2,100 000 | 5 607,000 |
| საფრანგეთი | 977,000 | 2,500,000 |
| იტალია | 817,000 | 1,700,000 |
| ავსტრია | 200,000 | 772,000 |
| ბელგია | 139,000 | 750,000 |
| ჩეხო-სლოვაკია | 400,000 | 657 000 |
| ავსტრალია | 320,000 | 628,000 |
| ჰოლანდია | 154,000 | 625,000 |
| უნგრეთი | 80 000 | 500,000 |
| კანადა | 120,000 | 378,000 |
| დანია | 124,000 | 360 000 |
| შვეცია | 115,000 | 339 000 |
| შვეიცარია | 75,000 | 224,000 |
| ესპანეთი | 41 000 | 211,000 |
| ნორვეგია | 47,000 | 144,000 |
| ახალი ზელანდია | 57,000 | 100,000 |
| ფინლანდია | 15,000 | 41,000 |
| სამხრეთი სლავია | 7,000 | 20,000 |

ამ სტატისტიკურ ცნობაში შედიან როგორც ფიზიკურად ისე გონებრივად მომუშავე ყველა მუშაკნი.

# პროფესიონალურ კავშირებში

## ორთაჭალის ფაბ.-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია.

მაისის 7-ს შესდგა ორთაჭალის რაიონის საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების კონფერენცია, რომელზედაც ამხ. შარიკიანმა წაიკითხა მოხსენება საავადმყოფო კასის შესახებ. კრებამ მოხსენების მიხედვით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ იგი იწონებს შრომის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირების საბჭოს დადგენილებას, კასის სასარგებლოდ ჯამაგირიდან პროცენტების გადადების მოსპობას და ამ გადასახადის 10 პროც. რაოდენობით დაწესებულებებზე და წარმოებებზე გადატანას.

საავადმყოფო კასების დამოუკიდებელ არსებობის შესახებ კრებამ სცნო მიზანშეწონილად და სწორედ, როგორც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფართო მასსების, ისე მუშათა კლასის ინტერესებისთვის ყველა ორგანოთა ცენტრალიზაცია საექიმო დახმარების აღმოჩენის ფარგლებში, სახელდობრ, საავადმყოფო კასების გაერთიანება სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან.

კრებამ მოისმინა რა მოხსენება ორთაჭალის რაიონის სასადილოს მდგომარეობის შესახებ—საჭიროდ დაინახა უახლოეს დროში გაიხსნას რაიონში 2 ან 3 სასადილო. მუშათა რაიონებისადმი საექიმო დახმარების შესახებ კრებამ დაადგინა მიმართოს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს თხოვნით, რომ სასწრაფოდ გახსნას სარაიონო ამბულატორია. კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე მოიწვიოს კულტურულ-განმანათლებელ კომისიის კონფერენცია.

დასუსტებულ და ახალ მორჩენილ მუშების გაძლიერებულ კვების შესახებ კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს საზოგადო კვების განყოფილების წინაშე, რომ რაიონში მოეწყოს საკვები პუნქტი.

## ქიმიკოსთა პროფ. კავშირში.

მაისის 10 შესდგა ამხ. კოზალოვის თავმჯდომარეობით ქიმიკოსთა პროფ. კავშ. გამგეობის სხდომა. სხდომამ განიხილა ამხ. კორსკასკების ფირმის განცხადება. ფირმა აცხადებს, რომ ქარხნის ცეცხლით განადგურების გამო ახლო ხანებში შეუძლებელია მისი განახლება და სათანადოთ მოგვარება და ამ მიზეზით ფირმა იძულებულია სამსახურიდან დაითხოვოს ერთი დარაჯი და ხუთი მუშა ქალი. ამისათვის ფირმა თხოულობს, რათა ის განთავისუფლებულ იქმნას დასათხოვ მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემისაგან, ან და აძლიოს მათ ედროვოს და გადასცეს ორ ვადაში. გამგეობამ შესაძლებლად სცნო დაწვარ ქარხნის მოსამსახურეთა შტატის დათხოვა. ქარხნის მოსაგვარებლათ და განსაახლებლათ, ფულება ეძლევა ფირმის პატრონთ დასტოვონ სამსახურში მათი მიხედვით საჭირო სპეციალისტები. დათხოვნილ მოსამსახურეთა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ჯამაგირის უკანასკნელ რაოდენობის მიხედვით. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: წინადადება მიეცეს ყველა ინსტრუქტორებს, რათა მათ ადგილობრივათ და პროვინციაში დაუყონებლივ გაატარონ ორგანიზაციული მუშაობა და პროფ. კავშ. საბჭოსთან შესდგეს საინსტრუქტორო-საორგანიზაციო განყოფილება.

## მეტითონეთა კავშირში.

მაისის 12 სხდომაზე მეტითონეთა კავშირის გამგეობამ ამხ. კანაძისა და ავდაკიმოვის ნაცვლათ, რომელნიც სახალხო სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში მიიწვიეს, პრეზიდიუმში აირჩია ამხ. მაჭაიძე (თავმჯდ.), პრეობრაჟენსკი, ბურჯანაძე და დაბახაშვილი.

კავშირის საინსტრუქტორო განყოფილებამ უკვე გამოიმუშავა ადგილობრივ რაიონებში მუშათა წვრილ სახელოსნოთა მოწყობის გეგმა.

მაისის 13 შესდგა რკინის გზის სადგურის რაიონის წვრილ სახელოსნოთა მუშების საორგანიზაციო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა კავშირის წარმომადგენელმა პროფ. კავშირებისა და საქარხნო კომიტეტის მნიშვნელობაზე და ადგილობრივათ მათ დანიშნულებაზე. ამის შემდეგ კრებამ აირჩია საქარხნო კომიტეტი. არჩეულ არიან შემდეგი ამხანაგები: ნაზდროევი, ბეკურაშვილი და თეოფილაკტოვი. ეს ახალი საქარხნო კომიტეტი თავის გარშემო აერთებს 13 წვრილ საწარმოვო სახელოსნოს. მუშების საერთო—რიცხვია 40. აგრეთვე კულტურულ - საგანმანათლებელო კომისიაში არჩეულ არიან: ამხ. მიტელმაიერი, არუთინოვი და ნაზღრივისა, გადამფასებელ კომისიაში წარმომადგენლათ არჩეულია ნაზდრივი და კოვალევსკი. ამ ჟამათ ეწყობა ახალგაზრდა კომუნ. კავშირის წრე. თითქმის ყველა ახალგაზრდა მუშამ სურვილი განაცხადა ამ კავშირმა შესვლისა. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ ყველა მუშები ჩაეწერონ მუშათა კლუბში.

## ყველა კავშირის თავმჯდომარე და მდივანთა საზოგადო კრება.

მაისის 6 შესდგა ყველა კავშირის თავმჯდომარე და მდივანთა საზოგადო კრება. ადგილებიდან მოისმინეს მოხსენებები.

**მეტითონეთა კავშირის** მხრივ მოხსენება გააკეთა ამხ. რობლინმა. კავშირთან დაარსებულია ყველა განყოფილება, რომლებმაც ნორმალურათ დაიწყო მუშაობა. არ მუშაობს მხოლოდ შრომის დაცვის განყოფილება. კავშირს აერთებს ლითონ. დამამუშავებელ 14 წარმოება და ელექტრონის 15 სადგური. კავშირში ამ ჟამად შედის 1,700 კაცამდე.

**მშენებელ მუშათა კავშირი.** კავშირი შესდგა დღიდან გადატრიალებისა. კავშირმა მოახერხა რამდენიმე აგურხანის ამუშავება, მათ რიცხვში ქანის აგურხანისაც. ეს აგურხანები დიდიხნის განმავლობაში არ მუშაობდა. კავშირში შესულ ყველა წარმოებას ჰყავს თავისი საქარხნო კომიტეტები. კავშირში ითვლება 800 კაცამდე. მაისის 15-სათვის მოწვეულ კონფერენციაზე აირჩევენ გამგეობას, რომელიც განაგრძობს მუშაობას საქართველოს მასშტაბის კავშირის ორგანიზაციის საქმეში.

## ადგილობრივი ტრანსპორტი

კავშირში გამოცდილ მუშაკთა უყოლობის გამო შეუძლებელი იყო მუშაობის ნორმალურათ წარმოება. როდესაც კი გამოცდილი მუშაკები გამოჩნდენ, შესაძლებელი გახდა განყოფილებების დაარსება და მუშაობის დაწყება. საერთო რიცხვი კავშირის მიერ შეკავშირებულ წევრებისა 15000 კაცს უდრის.

## საექიმო-სასანიტარო შრომა

დაარსებულია უკვე 12 ადგილობრივი კომიტეტი. კავშირიდან პროვინციაში იგზავნებიან ინსტრუქტორები კავშირების მოსაწყობათ. კავშირთან არსებობს ყველა განყოფილება. კავშირში ირიცხება 2000 კაცამდე. ახლო მომავალში მოიწვევენ კონფერენციას.

## მბეჭდავთა კავშირი

კავშირთან არსებობს ყველა განყოფილება. მუშების მომარაგების შესახებ იყო მოწვეული საზოგადო კრება, რომელმაც აირჩია შემსყიდველი კომისია. კავშირის ყველა წევრი სარგებლობს სასადილოებით, ყველა წარმოებაში დაარსებულია კომიაჩეიკები. კავშირი აერთებს 960 კაცს.

## რკინის გზელთა კავშირი

რკინის გზელთა პროფკავშირი დაარსდა თვენახევრის წინეთ. ადგენილ იქმნა კავშირები რკინის გზების ხაზზე საბარგო დეპოებში. თბილისში არსებობს 3 რაიონი. სულ ამ რაიონებში ითვლება 6500 კაცი; მათ შორის დაარსებულია უბნის პროფკავშირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ თავის უბნის მოსამსახურეთა მუშაობით და ყავთ თავის წარმომადგენელი რკინის გზებზე პროფკავშირში. მთელ რკინის გზას 7 საუბნო პროფკავშირია, რომლებიც 17000 კაცს აერთებს. ყოველ რაიონში მოწყობილია შრომის დაცვის, საბინაო სამეურნეო და სხვა კომისიები. რკინის გზის პროფკავშირში არსებობს საორგანიზაციო საინსტრუქტორო და შრომის დაცვის განყოფილებანი. მუშების სულიერი განწყობილება მშვენიერია. მისწრაფება წარმოების გაძლიერებლათ დიდათ განვითარებულია, სცდილობენ გამოუშვან რაც შეიძლება მეტი რიცხვი ორთქმავლებისა. ახლო მომავალში განზრახულია საქართველოს რკინის გზების მუშა მოსამსახურეების კონფერენციის მოწვევა.

## ქიმიკოსთა კავშირი

კავშირში ირიცხება 500 კაცამდე. კავშირთან დაარსებულია ყველა განყოფილება, რომელთა რიცხვში შედის ორი დიდი—ზეთისა და საპნის ქარხანა. პროვინციებში იგზავნებიან ინსტრუქტორები კავშირის საორგანიზაციოთ. ადგილობრივ დაარსებულია საქარხნო კომიტეტები.

## მეთამბაქოეთა კავშირი

კავშირი აერთიანებს 35 წარმოებას. ყველგან არსებობს საქარხნო კომიტეტი. კავშირთან არსებობს ყველა განყოფილება. წევრთა საერთო რიცხვი 1800 კაცს უდრის.

# მუშათა ცხოვრება

## მუშების დეზერტირობა.

სახალ. მეურნ. უმაღ. საბჭომ მიმართა ლითონზე მომუშავეთა წარმოებითი კავშირის ეკონომიურ განყოფილებას შემდეგი ქაღალდით: მექანიკურ წარმოებათა დათვალიერების შემდეგ გამოირკვა, რომ ყველა წარმოებებში ემჩნევა მუშების გაძლიერებული დეზერტირობა. საქარხნო კომიტეტი სუსტათ ასრულებს თავის მოვალეობას და არავითარ ზომებს არ ღებულობს ასეთ ფაქტების წინააღმდეგ. ძალა არ შესწევს მოსპოს დეზერტირობა. მიგვითითებთ რა ამ მდგომარეობაზე გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები დეზერტირობის სალიკვიდაციოთ.

# პროვინციაში

## გორის მაზრა

ძველად, არალეგალური პირობების დროს ბორჯომის რაიონში და მის მიდამოებში, როგორც არიან წაღვერი, ბაკურიანი, გუჯარეთი—საუკეთესო ორგანიზაციები არსებობდენ. დღიდან გადატრიალებისა ეჭვი არ იყო, რომ ეს რაიონები პირველ ადგილს დაიჭერდენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მე არას ვამბობ თვით ბორჯომზე; ბორჯომში საუკეთესოთ არის დაყენებული ორგანიზაციული პარტიული მუშაობა, მაგრამ ეს ვერ სცილდება ბორჯომის ფარგლებს. დღეს აქეთ ვერ შეხვდებით წინანდელ პარტიულ ორგანიზაციებს. რევკომ ს სისუსტე ხომ ყველასათვის აშკარაა. ხალხი გეუბნება: მოგვეცით მარილი, მანუფაქტურა და პური, მაშინ გინდ ღმერთი გახდითო. დღეს ამ რაიონში არ არსებობს და არ მუშაობს არავითარი კულტურულ განმანათლებელი მუშაობა. კლუბს, თეატრს და სხვა ასეთებს ხომ მოკლებული არიან. აი რა არის საჭირო ამ რაიონებისთვის: 1) გუჯარეთში ოსი კომუნისტების გაგზავნა, ორგანიზაციულ და განათლებულ მუშაობის დაწყება, ვინაიდან გუჯარეთი სუყველაზე საზარელ სურათს წარმოადგენს. აქ უკვე შეუდგენ ახალგაზრდა კომუნისტები მუშაობას, დაარსეს რამოდენიმე იაჩეიკები და რომ პარტიული ოსი ამხანაგი დროზე წასულიყვნენ შეიძლებოდა აქმდის გამოკეთება, 2) წაღვერში შეიძლება ქართველების გაგზავნა, 3) ბაკურიანში ყველა რჯულის ხალხი არის საჭირო. თუ ეს იქნება შესრულებული და ცენტრი მიაქცევს შესაფერ ყურადღებას, ჩვენ შევძლებთ ვუშველოთ მდგომარეობას და სულიერ განწყობილებას, რომელიც ამ რაიონებშია და რომელიც საფრთხეს წარმოადგენს, თავიდან ავიცილებთ, ამიტომ საჭიროა რომ არ დაგვიანდეს ზომების მიღება.

ხაშურელი მოხიკო.

## კოჯორი.

პირველი მაისი კოჯორში შესამჩნევათ ჩატარდა, მიუხედავათ იმისა, რომ სოფლის მცხოვრებლები მიჩვეული არიან ძველებურათ და ჟღდგომა დღეს დღესასწაულობენ, როგორც დიდ უქმეს. კოჯორლების უმრავლესობამ მაინც მიიღო მონაწილეობა პირველ მაისის დღესასწაულში. რევკომის და კავშირის დადგენილებებით ხალხი შეგროვდა რევკომის შენობასთან, აქედან გაემგზავრენ ძმათა სასაფლაოზე, სადაც იყვნენ დასაფლავებულნი რუსი ამხანაგები. მიტინგს დაესწრო თფილისიდან ჩამოსული ამხანაგი ჟულელი. კრება გახსნა ამხანაგ ნესტორ კორინთელმა და ხალხს აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირველ მაისს მუშებისათვის. ილაპარაკა ამხანაგ ჟულელმა ქართულ და რუსულ ენაზედ, ვრცლად შეეხო პირველ მაისის მნიშვნელობას,—თუ რა მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიო პროლეტარიატისთვის, შეეხო მენშევიკების ცრუ სოციალისტობას, სოციალისტების ქურქში გახვეულები როგორ ატყუებდენ მუშებს და გლეხებს. ამხ. ჟულელმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა იმ რუს დახოცილ ამხანაგების შესახებ, რომლების სასაფლავოზედაც ვლაპარაკობდით.

ამხ ნაგ ჟულელის სიტყვამ დიდად დააკმაყოფილა ხალხი. შემდეგ პატივისცემის ნიშნათ დახოცილ ამხანაგების საფლავზედ შეიარაღებულ ამხანაგებმა „ზალპით“ ისროლეს თოფები. კრება დამთავრდა შემდეგ სიტყვებით: გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხანაგ. ლენინს.

წაგკელი.

## ქალ. სამტრედია.

დღიდან საბჭოთა მთავრობის გამოცხადებისა, სამტრედია ახალ ცხოვრებას განიცდის, მთელს რაიონში განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს, ყველა ამხანაგები ფეხზე დგანან. ქალაქში ამას წინეთ მოეწყო პირველი პარტიული კრება, სადაც დაიწერენ კანდიდატებიც. აირჩიეს სამი პირისაგან ბიურო: ამხ. ზამთარაძე, ჩიტია და სკირცვი. პირველი ნაბიჯი ბიურომ უკვე გადადგა. მან მოაწყო „შაბათობა“ სამშაბათს 26 აპრილს, სადაც შეგროვდენ დილის სამ საათზე და მუსიკით გაეშურენ რკ. გზ. დეპოსაკენ. სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც დიდი და პატარა ნაწევლსა და უწევლელს ყველას ლაფათქა ქონდა მხრებზე და სამუშაოთ მიეჩქარებოდენ. შაბათობა ჩინებულათ ჩატარდა: 4 საათის განმავლობაში 10 ვაგონი ნაგავით დატვირთეს და კიდეც გადასცლეს. მთელი მუშაობის განმავლობაში მუსიკა განუწყვეტლივ უკრავდა. ხალხი მათ შემოჩერებოდა და ურწმუნო თომანიც კი რწმუნდებოდნენ, რომ კომუნისტებს მარტო ნგრევა კი არ შეუძლიათ, არამედ აღმშენებლობაც. პროვოკატორები ხმებს ავრცელებდნენ „ხედავთ თქვენს შესახედავათ გამოვიდენ, თორემ აწი თქვენ გამუშავებენ და კისერზე დაგაჯდებიანო“, მაგრამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნოს ყველამ, რომ კომუნისტები სხვებსაც ამუშავებენ და თვითონაც იმუშავებენ, რომ აოხრებული ქვეყანა ფეხზე დააყენონ, გამოაჯანსაღონ ის.

ხალხი საერთოდ თავისუფლათ გრძნობს თავს, ყოველ სოფლებში მოეწყო მიწის მუშათა კომისიები.

კვირას, 24 აპრილს სამტრედიის კლუბში მოხდა კრება მთელი რაიონის მიწის მუშათა კომისიებისა, სადაც დახატეს მთელი სოფლის დღევანდელი ვითარება, ბევრ ალაგას ყოფილა სამყოფი მიწა, ბევრ ალაგას არა. ამის შესახებ მიიღეს შესაფერი გადაწყვეტილებანი. როდესაც ხედავ ამ კრებას, ამ ღარიბთა ლაშქარს, მათ სახეს სიხარულის ფერი ადევს, ყველას მომავლის იმედი აღულდმულებს, მას ძველებურათ აღარ ეშინია თავისუფალ აზრის გამოთქმა, მას არავინ დასჯის, რომ სთქვას სიმართლე, რადგან მთავრობაც მისი ნების გამომხატველია.

ჩვენ იმედი გვაქვს და ამის მაუწყებს იძლეოდა 24 აპრილის კრება, ჩვენი სოფლის გლეხობა კარგათ შეხედავს დროს და ძვირდში ამოუდგება თავის მთავრობას. ბევრი გაჭირვებაა დღეს სოფლებში, ბევრს თვით ქმნიან ჩვენი მტრები (ვაჭრები და სხვები), რომ ხალხს გული აუცრუონ მუშათა და გლეხთა მთავრობაზე, მაგრამ ამას ისინი ვერ მოესწრებიან. ეს დღე მათ არ დაუდგებათ.

სამ. კიკაჩეიშვილი

# წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მოკლე განმარტებას.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც შეუძლია ზოგიერთი ჩემი ნაცნობები შეცდომაში შეიყვანოს, საჯაროთ ვაცხადებ რომ ცხრა თვეა რაც მე გამოვედი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიიდან, რასაც დაამოწმებს როგორც ყოფილი კოლექტივი მეთხე რაიონისა, აგრეთვე ამავე კოლექტივის ყოფილი მდივანი.

ალექსანდრე ვასილისძე გორგაძე.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—...ლის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო— ...ბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—...ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—33.

მე-5-ე რაიონის ბიურო—...ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

ხარედმქცეთ კოლეგია

# შეჯიბრება

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშნების ნიმუშების დამზადებაზე

ფულის ნიშნები დაიბეჭდება 30, 50, 100, 500, 1000 მან. და 10.000 მან. ღირებულობის

## შეჯიბრების პირობები:

1) ფულის ნიშნის ნახატები, ქართული ათას მანეთიანის ფორმატის ოდენა და სამი სხვადასხვა ნაირი წარმოდგენილი შეჯიბრებისთვის, უნდა იყოს დამთავრებულის სახით, ორივე გვერდებზე ... ფერით.

2) ნიშნებზე უნდა იქნეს ქართულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე შემდეგი შინაარსის წარწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშანი“.

გარდა ამისა წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ზემოჩამოთვლილ ხუთ ენაზე და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და იტალიურზე.

3) ფულის ნიშნები უნდა იქნეს შესრულებული ქართულ სტილში, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ჩაქუჩი და ნამგალი.

4) დაჯილდოვება: საუკეთესო ნამუშევრისთვის მან. 500,000.—და შუალო მან. 300,000.—და შემდეგ მან. 200,000.

5) სრულიად დამთავრებული ნახატები შემსრულებლის პსევდონიმით ცალკე კონვერტში და ამ პსევდონიმის ვინაობის აღნიშვნით მეორე კონვერტში წარმოდგენილ უნდა იყოს ორივე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში ექსპედიციის კომისრის სახელზე არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25-სა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

# გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ მისგან ამავე კომისარიატის შიკრიკ იაკობ თუთაძისათვის მიცემული მოწმობა 27 აპრილიდან №1566, იმერეთსა და სამეგრელოში სურსათ-სანოვაგის შეძენის შესახებ, დაკარგულია და გაბათილებულად უნდა იყოს ცნობილი.

# ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში“ დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება. დასაბეჭდათ დანიშნული მასალა უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის მხოლოდ ერთ გვერდზე, ორ გვერდზედ დაწერილი მასალა არ მიიღება' ვისგანაც არ უნდა იყოს გამოგზავნილი.